


პირველი



№ 11
1929

სახეცვლი





პარიზის პროლეტარიატის მასიური დემონსტრაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის მთავრობა სასტიკად სდევნის მუშათა გამოსვლებს, პარიზის პროლეტარიატმა მაინც შესძლო თავის რიგებში მყოფი რევოლუციონური ძალების შემოქმედა და მჩაგვრელების წინააღმდეგ დარაზმვა სათანადო მოთხოვნების წამოყენებით.

ა/წ 26 მაისს პარიზში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაიმართა პროლეტარიატის მასიური დემონსტრაცია 50000 კაცის მონაწილეობით. მსვლელობაში მონაწილეობა მიიღო მუშა ახალგაზრდობის და ქალების დიდმა ნაწილმა.

პარიზის ქუჩებში დარაზმული მსვლელობა აკრძალული იყო და დემონსტრანტებს გამოსვლისთანავე თავს დაესხა პოლიცია, მოხდა შეტაკება, და რამდენიმე კაცი დაიჭრა.

მუშები დარაზმული იყვნენ სამ ჯგუფად, რომლებიც „ინტერნაციონალი“-ს მღერით და ლოზუნგებით „ძირს ოში“, „მოგვეციტ საბჭოები პარიზში“ და სხვათა ძახილით მიეშურებოდნენ პარიზის კომუნარების კედელთან.

პოლიციელები თავს დაესხნენ მუშა-ქალების ერთ ჯგუფს და სცემეს რკინის ჯოხებით, აგრეთვე ქალები

მებით ათრიეს და სასტიკად აწამეს. ამ დროს ქალთა მეორე ჯგუფმა სისხლით შეღებილი ცხვირსახოცი მიამაგრა პლაკატს, რომელზეც იყო წარწერა „მუშა-ქალის სისხლი, რომელიც დაღვარა პოლიციამ“.

მსვლელობამ 4 საათს გასტანა. კომუნარების კედელი აუარებელი გვირგვინით შეამკეს; მსვლელობაში მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ პარიზის კომუნის 12 მონაწილეს, რომლებიც კომუნარების კედელთან იდგნენ.

დემონსტრაცია დაიშალა „გაუმარჯოს საბჭოებს“ „გაუმარჯოს კომუნას“ ძახილით. პოლიცია მათ სცემდა, დევნიდა და აპატიმრებდა.

ვინ იცის, რამდენი ბავში დარჩა უპატრონოდ, რამდენი ბავშვის მამა შეიქნა მსხვერპლი ამ მსვლელობისა.

დღე, ჩვენმა პიონერებმა წარმოიდგინონ უცხოელი ბავშვისა და მათი მშობლების ცხოვრების ის აუტანელი პირობები, რომელიც აიძულებს მათ მჩაგვრელების საწინააღმდეგოდ ქუჩაში მოთხოვნებით გამოვიდნენ.

მღელვარება პოლონეთის გლეხობაში.

ღვთის მაზრის ერთ-ერთი სოფლის გლეხობის სათემო საძოვრებიდან სამმართველომ გარეკა გლეხები და დააყენა თავისი მცველი, რამაც გამოიწვია დიდი უკმაყოფილება გლეხობაში და იერიში მიიტანეს მცველებზე. დაიჭრა ერთი მცველი, მოხდა შეტაკება გლეხებსა და პოლიციელებს შორის, დააპატიმრეს 100-მდე გლეხი.

მსგავსი ამბავი მოხდა მთელ რიგ სხვა მაზრებში, სადაც სამაზრო ხელისუფლება ადგენს დათესონ საძოვრების დიდი უმრავლესობა, და გლეხობა მშრალზე რჩება. ეს გარემოება გლეხობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

| | | | |
|---|-----|---|-----|
| 1. როგორ გახდა პატარა ალ ედისონი—ვლ. ჩ—ვის | 88. | 9. გაზეთი | 12. |
| 2. ორი შეკრება—ეკ. კ—ის | 4. | 10. ჩვენი ჩაი—ს. ერთაწმინდელის | 14. |
| 3. გაზაფხული სოფლად—ლექსი—ა. ადამიანი | 4. | 11. მეცნიერება და ტექნიკა | 15. |
| 4. აჯილლა—ს. მთვარაძის | 6. | 12. რა ხდება უცხოეთში—გ—ასი—გარეკანის მეორე გვერდზე | |
| 5. ლეხურის არხი—ლექსი—შ. შაველაშვილის | 8. | 13. საბავშო კინო-ფილმის შესახებ—წერილები | |
| 6. მოდის რაზმი—ლექსი—მ. მიქელაძის | 8. | გ. ლომიძის და წითელი აკის—გარეკ. მესამე გვ. | |
| 7. გოჩა—პიესა—ვ. კობელის (გაგრძელება) | 9. | 14. პიონერთა მსუბუქი კავალერიის მუშაობის შესახებ—გარეკანის მეოთხე გვერდზე | |
| 8. პიონერები ბანაკად და სოფლად—ელ. გეგენავაი | 11. | | |



კომუნისტი



1929

15 ივნისი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიურო-
ების და განათლების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელი
ადრდის მთავარმართველობის ყურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი IV
№ 11

როგორ ვახდა პასაკ ალ აღისონი



საიდან დაიწყო.

ამ დღეს განსაცვიფრებელი ამბავი მოხდა.

ის ჰგავდა იმ ზღაპრებს, რის თხრობაც ძალზე უყვართ დიდებს და რაც ხუთი წლის აღს, სიმართლე უნდა ითქვას, მხოლოდ ნახევრად სჯეროდა.

კარგად რომ მივხვდეთ, თუ როგორ იმოქმედა ალ-ზე ამ შემთხვევამ, შორიდან

უნდა დავიწყოთ.

აღს ჰყავდა ძველი მეგობარი — სქელი, კეთილი ბატი.

ერთხელ აღმა უცნაური სურათი ნახა: მისი დედა სარდაფში სვამდა ბატს კვერცხებზე.

ალ დიდებს ბევრ სისულელეს აპატიებდა ხოლმე, მაგრამ აქ კი ველარ შეიკავა თავი.

— დედა! — დაუყვირა მან, წაავლო რა მის კაბას ხელი, — რას შვრები? ის ხომ დასრესს მათ.

დედამ აღერსით მოიშორა ის და ბატი კვერცხებზე დასვა.

— რა ჯიუტი ხარ, — უთხრა აღმა და გადააქნია თავი ისე, როგორც ამას მამა სჩადიოდა ხოლმე.

დედამ გაიღიმა, მოჰკიდა მას ხელი და გამოიყვანა სარდაფიდან.

— ხელს ნუ შეუშლი მას, ალ. ის გამოგვიჩეკს ჭუკებს.

აღს გაეცინა. აი სისულელე! კიდევ ზღაპრები!

— იქნება ბატმა ორთქლმავალი გამომიჩეკოს? — დაცინვით სთქვა მან და დედას ქვევიდან უყურებდა.

მთელი კვირა არ შეუშვეს ალ სარდაფში, შემდეგ კი შეუშვეს. ალ მიუხალოვდა და გასწია ხელი, რომ მიალესრებოდა თავის მეგობარს. ბატმა მოულოდნელად წაიგრძელა კისერი და მრისხანედ ასისინდა. ალ გადახტა

და გაკვირვებით შეხედა მას; ამის შემდეგ ის იქ იშვიათად შედიოდა და მხოლოდ შორიდან ათვალიერებდა ბატს.

და აი დღეს მოხდა ეს განსაცვიფრებელი ამბავი.

როგორც კი გამოჩნდა ალ კარებში, ბატი ისეთი ძლიერი სისინით შეხვდა, რომ იმან უკან დაიწია. ის მაინც შეჩერდა სარდაფის გვერდით და ფიქრობდა — შევიდე თუ ეს ძალზე სახიფათოაო.

ამ დროს კარებში გამოჩნდა ბატი. ალ გაკვირვებისაგან დაიბნა. ბატის უკან და ირგვლივ ირეოდენ ჭუჭყიანი ჭუკები. ბატი კისერწაფრძელელებული მიდიოდა, ის არაჩვეულებრივ იყო გაბრაზებული, გვერდით ჩაუარა გაშეშებულ აღს და ამაყად გაუდგა გზას ჭიშკრისკენ. ალ შევარდა სარდაფში. კვერცხების მაგივრად იქ კვერცხების ნაჭუჭები ეყარა.

ამავე დღეს ალ დაიკარგა. ყველგან ეძებდენ მას. დედა დაეძებდა მეზობლებთან, მდინარესთან — ბავში არსად ჩანდა. ნამტირალევი ბრუნდებოდა ის შინ და შემთხვევით შეიხედა სარდაფში.

— არ მომიახლოვდე! — შეშინებულმა წამოიძახა აღმა კუნჭულიდან, — მე ჭუკებს ვჩეკავ.

ხუთი მეტრი წიგნები

აღის მამა მუდამ საქმეებში იყო გართული და ძალზე ცოტას ზრუნავდა შვილზე. ერთხელ მან ჰკითხა თავის ცოლს:

— რას აკეთებს ალ? რატომ არსად არა ჩანს ბავშვთან ერთად?

ცოლმა გაუყარა ხელი და წაიყვანა მდინარისკენ. შორიდანვე შეამჩნიეს ბიჭი. ის რალაცას გულმოდგინედ არკობდა მიწაში.

— რას აკეთებ, ბიჭო? — შეეკითხა მამა მიახლოებისას.

— აი, ხედავ, — წარბებმოკმუნხული უპასუხებდა ალ — ეს წყლის წისქვილია, აქედან გზა მიდის, და აი აქ ვაშენებ ფერმას.

მ რ ი შ მ კ რ მ ბ მ



1. სოციალისტური

15 აგვისტოს მოსკოვი იქნება დაპყრობილი... ნუ შეგეშინდებათ, პიონერების მიერ. საბჭოთა კავშირის ყოველი მხრიდან მოსოფლიო რევოლუციის ცენტრში, მოსკოვში, მატარებლები ჩამოიყვანენ ექვსიათასამდე ბავშვს პირველ სრულიად საკავშირო შეკრებაზე. მთელი კვირის განმავლობაში მოსკოვი ავსილი იქნება წითელი ყელსახვევებით. ჩამოსული ბავშვები მოსკოვის მშრომელთა ძვირფასი სტუმრები იქნებიან. **დელეგატები იცხოვრებენ მუშების სახლებში და ეს მათ მჭიდროდ შეაკავშირებს მშრომელებთან.**

საკავშირო შეკრებამდე ჩატარებულ იქნება ასეული ადგილობრივი შეკრება, დაწყებული საოლქოთი და გათავებული რესპუბლიკანურით. ამ შეკრებაზე ბავშვები შეიძენენ გამოცდილებას, თუ როგორ უნდა დაეხმარონ პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას სოციალიზმის აღმშენებლობაში.

საკავშირო შეკრებაზე დელეგატები გაუზიარებენ და გააცნობენ ერთმანეთს თავისი ორგანიზაციების გამოცდილებას. არ არიან ბოძის ისეთი სამუშაო, რომელშიაც მონაწილეობა არ მიეღოსთ პიონერებს.

მასიური დღესასწაული ახიათასი ბავშვის მონაწილეობით მჭიდროდ შეაკავშირებს შორეულ სტუმრებს მოსკოვის ბავშვებთან.

შეკრება საერთაშორისო ძმობის მაჩვენებელია.

საზღვარგარეული პიონერების მრავალი ათეული დელეგატი გაარღვევს შეკრებაზე დასასწრებლად კაპიტალისტურ რკალს. „ძირს სკაუტების შეკრება, შეკრებაზე დელეგატები მოსკოვში გაგზავნეთ.“ — აი ასეთი ლოზუნგით აწარმოებენ დღეს მუშაობას ჩამერიკის, ავსტრიის, გერმანიის და მრავალი სხვა კაპიტალისტური

ქვეყნის პიონერები. შეკრება იქნება მთელი მოსოფლიოს მშრომელთა ბავშვების საერთაშორისო ძმობის ნამდვილი მაჩვენებელი, და იგი გაერთიანდება ერთი მიზნით: **„ბრძოლა საბჭოთა რესპუბლიკების მოსოფლიო კავშირისათვის“.** საგანგებოდ მოწყობილ მოედნებზე გუნდებს შორის მოხდება შეჯიბრი ფიზკულტურისა, შრომისუნარიანობისა და გასამხედროების საქმეში. მოვარჯიშენი დაგვანახებენ, რომ ისინი მზად არიან ყოველთვის დაეხმარონ წითელ ჯარს საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად ყოველგვარი თავდასხმისაგან.

გამოფენა მუშაობის სარკეა.

გამოფენა დაგვანახებს 2 მილიონი პიონერისა და ოქტომბრელის მუშაობას. მშრომელნი ასიათასობით დაათვალნიერებენ ათასეულ ექსპონატებს, ბავშვების ხელით გაკეთებულს.

თეატრებში ბავშვებისათვის გამართულ დილასა და საღამოებზე საბჭოთა კავშირის 163 ერის ბავშვები დაგვანახებენ ხალხურ ცეკვას და საკუთარ ენაზე იმღერებენ თავის სიმღერებს. შეკრებაში მონაწილეობის მიმდებათვის ყოველდღე გამოვა გაზეთი. შინ დაბრუნებისას დელეგატები გახდებიან ახალი მუშაობის ორგანიზატორები თავის რიგებში.

2. კაპიტალისტური

„გიყვარდესთ კაპიტალისტები“

სკაუტების ხელმძღვანელები დიდის ამბით აცხადებენ: „ჩვენ მომხრე ვართ მთელი ქვეყნის სკაუტების მო-

გაზაფხული სოფლად

ამწვანდა ირგვლივ მთები, და ადიდებულა რუ! ველზე შრომობენ, მღერიან, სოფელი აღარ სდუმს!

მთა-ბარად გაშლილ გლეხობას ბავშნი აძლევენ მხარს! აყრუებს დუმისს ხეობის მათი გუგუნნი, ხმა.

ვხედავთ: გლეხები შრომობენ, არ ჩამოვრჩებით ჩვენც! ყოველდღე თუ-კი ვჯირითობთ, შრომაშიცა ვართ მხნე!..

თვალწინ ველი და მთებია, ზღვიდან ნიავი ქრის. გლეხები შემოსევიან, უთესენ ყანას ქვრივს...

სად კოლექტივი არის და თან ხელმძღვანელი გლეხია,— შრომობენ ერთი აზრითა, შრომობენ, არ იღლებიან!

კლდიდან მოხეთქილ ნიაღვარს მტკიცე ჯებირი უხვდება, ვერ აენებს ნათეს ნიადაგს, ყანებიც არ გაფუჭდება.

ჰო-და შრომობენ ამგვარად, არ არის დაღლა-მოწყენა! ქრიაშულია მთა-ბარად, შრომაში თავგამოდება!

ამწვანდა ირგვლივ მთები, და ადიდებულა რუ! ველზე გლეხები მღერიან, სოფელი აღარ სდუმს.

ა. ადამია



ბისა, ჩვენ გვინდა დაუახლოვოთ ერთმანეთს ყველა ერის ბავშვები — მაგრამ რატომღაც არ ამბობენ, რომ ბავშვების გაერთიანება მათ სურთ ინგლისის კაპიტალისტების ხელმძღვანელობით, რომ ამით გააძლიერონ ინგლისის იმპერია და აღზრდონ ინგლისის კაპიტალისტების თავყვანისმცემელი ბავშვები.



ბავშვა საერთაშორისო მეცხრე კვარტული ტრიბუნიდან ამბობენ გ. ჯავახიძე, ა. მახათაძე, ბეღია და გ. აბესაძე ესალმებიან დემონსტრანტებს.

სკაუტებს შორის რომელ ძმობაზე შეიძლება დაპარაკი, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში რამდენიმე ასეთი ორგანიზაციაა და ისინი თავაშობებით ექიმებიან ერთიმეორეს და ერთიერთმანეთის შურით არიან აღვსილი (მაგ., საფრანგეთში არის 3, ფინლიანდიაში — 5 და სხვ.). სკაუტებს ასწავლიან სამშობლოს სიყვარულს (ე. ი. კაპიტალისტებისას, რომლებიც მართავენ ქვეყანას), ომის დროს კი ეს სკაუტები თვით ამ მეთაურების ხელმძღვანელობით, რომლებიც მათ დღემდე ძმობას უქადაგებდნენ, ერთმანეთს ხიშტებს ჩაარკობენ და ტყვიამფრქვევებს დაუშენენ. ასე იყო მსოფლიო ომის დროს და ასე იქნება ყოველი ომის დროს, განსაკუთრებით კი იმ ომის დროს, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რისთვისაც ამზადებენ სკაუტებს და უამბობენ მათ ათასგვარ ჭორს ბოლშევიკების შესახებ. ტყუილად კი არ არიან სკაუტების შეკრების ხელმძღვანელებად სამხედრო პირები.

შეკრება საქონლის რეკლამაა.

ლაყბობა სკაუტების ძმობის შესახებ — ეს არის სკაუტების შეკრების ნამდვილი მიზნის დაფარვის საშუალება. აი რას წერს ინგლისის სკაუტების საყურადღებოდ შეკრების მდივანი პოლკოვნიკი უოლტონი: „საბანაკო შეკრების მეორე ნახევარში უცხო ქვეყნის სკაუტებთან ერთად მოწყობილ იქნება ექსკურსიები ახლო მდებარე ადგილებში. ეს ექსკურსიები მოწყობილია მსხვილი ფირმების დახმარებით. სკაუტები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ექსკურსიაში, არ უნდა იყონ ძალიან ახალგაზრდები და მომავალში კი უნდა შეიქმნან საქმის კაცები (ე. ი. უნდა გახდნენ კაპიტალისტების შეილები. რედ.). ამრიგად, საერთაშორისო შეკრება დაეხმარება ჩვენი მრეწველობის რეკლამას დედამიწის ყოველ კუთხეში. რაც შეეხება ბანაკის კვებას, ამის შესახებ ჩვენ გვაქვს თავაზიანი წინადადებანი სხვადასხვა

ფირმებისაგან, რომლებსაც კარგად ესმის შეკრების მსოფლიო სარეკლამო მნიშვნელობა.

ბანაკი მოწყობილი იქნება ისე, რომ უცხოელების ჯგუფები მოთავსებული იქნებიან ბრიტანეთის სხვადასხვა სამფლობელოთა ჯგუფებს შორის. უცხოელთა სკაუტების ჯგუფი თითოეული სკაუტის შესანახად დამატებით იხდის დღეში თითო შილინგს და ექვს პენსს, რადგან მათთვის შემუშავებულია ძალიან დიდი პროგრამა სამრეწველო წარმოებებში ექსკურსიებისათვის.!”

როგორც ვხედავთ, სკაუტების შეკრება მხოლოდ რეკლამაა ინგლისის მრეწველობისათვის, რომელსაც ამჟამად ძალიან ცუდად აქვს საქმე. სკაუტების ხელმძღვანელები განსაკუთრებით იმაზე ზრუნავენ, რომ ინგლისში ჩამოვიდნენ ინგლისის მრავალრიცხოვანი კოლონიებიდან, სადაც თანდათან იზრდება ინგლისისა და მისი კაპიტალისტებისგან ჩამოშორების სურვილი და ამ შეკრებით გავლენის მოხდენა უნდათ ახალგაზრდობაზე ინგლისის იმპერიის სიღიადით და ძლიერებით.

ზარბაზნის კერძის დამზადება.

შეკრებაზე თავს მოიყრის 15000 სკაუტი ინგლისიდან და 15000 სხვა ქვეყნებიდან. იმათთვის მოწყობილი იქნება ბანაკი; შეკრების მთავარი საგანია შეჯიბრება ფიზკულტურაში და სამხედრო საქმეში. მოპატივებულნი არიან საპატიო სტუმრებად პრინციები და მსხვილი კაპიტალისტები. სკაუტების ხელმძღვანელებს სურსთ აჩვენონ, თუ როგორ ამზადებენ ისინი სკაუტებისაგან ზარბაზნის კერძსა, და კაპიტალისტების ყურმოკრილ მონებს.



თფილისის პიონერები პლაკატებით ბავშვა საერთაშორისო მე-9 კვირეულის დემონსტრაციაზე

შეკრებაზე ძალიან დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ღვთისმსახურებას. ყველა რელიგიის ხუცები შეეცდებიან შთააგონონ სკაუტებს ბატონებისადმი მორჩილება, რისთვისაც უნდა ელოდნენ ჯილდოს ზეციდან და ერთდებოდნენ ბოლშევიკებს. სკაუტების შეკრება მუშათა კლასის მტრების შეკრებაა და ის ინგლისის კაპიტალისტებს ემსახურება.



ტფილისიდან მიმავალი მატერებელს შეაგვიანდა. შინისკენ მივეშურები. ჩემს წინ ახალი შენობები აიშართა, მოხდენილი და სოფლისათვის უჩვეულო ფორმით ნაგები, კარგახანია აღარ ვყოფილვარ აქ. ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო.

- ეს რა სახლებია! — შევეკითხე ჩემს თანამგზავს.
- რადიოსადგურია! განა ვერ ხედავთ ანძებს? — მომიგო მან. შევრცხვი. მავთულით შემოლობილი ეზოს შუაგულ ერთმანეთზე კარგა დაშორებით ამართულიყო თვალუწვდენელი ანძები. დინამო მუშაობდა და მის ხმაურში ინთქმებოდა მინდვრის სულშემხუთავი მყუდროება.
- როდის ააშენეს! — ვიკითხე კვლავ.
- ეხლახან. სულ ერთი წელიწადია!
- მერე, როგორ მოსწონს გლეხკაცობას!
- ოჰ, ძალიან! ან რით უნდა იყოს დასაწუნი? ჩემს წინ ორ ნაბიჯზე ვერ გამიგია რა ხდება, მაიდან-კი მთელი ქვეყნიერების ამბავი ესმით! — მომიგო კმაყოფილებით სავსე თანამგზავმა. მჭიდროდ დასახლებულ სოფელში შევედი. ერთმანეთს დავემშვიდობეთ და სახლებს მივავშურეთ. ჩვენსა შორიდანვე მოვკარ თვალი სანათურის შუქს. მიამა. საერთოდ სოფლად ძალიან აღრე იციან ძილი.

მივესალმე დედას, ძმებს და მივუჯექე გავარვარებულ ღუმელს. ჩვეულებრივი ბასი ჩამოვარდა: მოკითხვა ნაცნობის და უცნობის... გაწყალდა გული!

გარეთ შემადრწუნებელი სიჩუმე სუფევდა. ჩვენი ქედა ძალი ხალისიანად დარბოდა სახლის ირგვლივ და ბოხი ხმით ყეფდა. დასვენება ვერც-კი მოვასწარ. მოულოდნელად ჩვენს უბანში ოთხჯერ გავარდა თოფი. მედგარმა ხმამ სივრცე გაგლიჯა და მახლობელ მთებს დაეტკა. მაღალმა კლდეებმა რუხრუხით მისცა ბანი. სახლში მყოფნი ყველანი შეგვკრითთ. თვალებდაცეცებულნი უსიტყვოდ ვკითხულობდით აუხსნელ ამბავს. დედა ფანჯარას ეცა და ფარდა გადასწია:

- უი, დამიდგეს თვალები... ეს რა ამბავია!? — შეჰკვივლა მან. მე ძმებთან ერთად ხმაურით წამოვხტი. სარკმელს ვეცი. ჩვენს წინ უჩვეულო სურათი გადაიშალა. ქვემოთ, ორმოციოდე ნაბიჯზე საშინელი ალი ბარბაცებდა აღმა-დაღმა. მთელი უბანი განათებული იყო კვამლი ხვეულებად მიისწრაფოდა ზემოთ, თითქოს

მიუბავთ დაუნდობელი ცეცხლის ალი და ეწვეიანო. აი რა გაშუქებულია ჩვენს პირდაპირ მდგომარე უზარმაზარი ალვის ხის კენწერო. თვალთ შეუმჩნეველი ნუქრებიც-კი დაითვლება. უამრავი პაწაწინა ნაპერწკალი მახარობლებივით მიისწრაფოდა ცისკენ. გაყინული ნიავი ჰფანტავდა მათ და იქვე აქრობდა.

- ხანძარი! — შეჰყვირა ჩემმა პატარა ძმამ.
- ხანძარია, ხანძარია! — დავადასტურეთ ჩვენ და კარში გავცვივდით. თავქვე დავეშვი. შორიდანვე მოისმოდა შეჩოჩქოლებული ხალხის ხმაური. შარავზახე გარბოდა დაფეთიანებული გლეხკაცობა, — ქალები და ბავშვები. მივედი. ვეებერთელა ცეცხლის სტიქიას ცივი ჰაერი შეეთბო. მოძველებული ქვიტკირის შენობის წინ ოთხ ბოძზე შემდგარი თივა იწვოდა. ცეცხლი ყოველმხრივ ჰქონდა გამჯდარი და შემადრწუნებელს სანახაობას წარმოადგენდა. ზვინის დამმაგრებელი ბოძები შემოწნული იყო. აქ მის პატრონს სახელდახელო გომი გაემართა საქონლისათვის. ზემოდან თივა ისე ედგა, ვით სახურავი... ხალხი გაგიჟებული მორბოდა. მოარბენინებდნ კოკებს, ნიჩბებს, სამითიებსა და კეტებს. იდგა ქრიაშული და წივილ-კივილი.

- წყალი რუიდან მოზიდეთ! — შეჰყვირა ახოვანმა გლეხკაცმა. თავ-პირის მტერეგით გაეშურენ.
- რუში წყალი არ არის!
- გაიქეცით, მოუგდეთ!
- ჩქარა! ჩქარა!

თავრეტდასხმულ ჯგუფს სამი ახალგაზრდა გამოეყო და შევარდნებივით გაქანდნ ზემოთ.

— მიშველეთ, მიშველეთ! — განუწყვეტლივ ყვიროდა მაღალი და მკრედეაშლილი გლეხკაცი. ის, ნამძინარევი, საცვლების ამარა გამოვარდნილიყო კარში. მაშველად მოსულნი ძალ-ღონეს არ იშურებდნ. თითოეული მათგანი თავგანწირულად მოქმედებდა ხელში მყოფი საშუალებით, მაგრამ ამაოდ! ცეცხლი თანდათან დაბლა ჩამოვიდა. მეზობლად მდგარ ამგვარსავე ზვინს ჩანთქმას უქაღდა.

— მანდ თავი დაანებეთ! — დაიგრვიანა ჰალარა გლეხმა. — აქეთ მოიტათ წყალი!.. — ყველა მიხედა: რაც იწვის, მის გადარჩენაზე ფიქრიც ტყუილია!, და რომ სხვაგანაც უბედურება არ დატრიალდეს, საჭიროა მოფიქრება მათ მახლობლად მდგარი ზვინი სწრაფად გაუღწიონ

წყლით. იმავე წუთს მოისმა საქონლის გულგამგმირავი ბლავილი და ცხენების კიხვინი.

— ხალხო! საქონელი გადამირჩინეთ, საქონელი! —



ხალხი გაგიყვებული მობრბოდა.

დაიღრიალა საცვლებიანმა გლენმა. ერთბაშად შესდგენ, ყველა შეათრთოლა საქონლის თავზარდამცემმა ხმაურმა.

— უშველეთ, უშველეთ! — ერთხმად აღმოხდათ ძახილი. ცეცხლწაქილებული თივა ცვივოდა მაღლიდან. ძირსაც ისევე ენთებოდა, როგორც მაღლა. ეს მოვლენა საშიშროებას ჰქმნიდა.

- გომის კარი გააღეთ! — შეჰყვირა ერთმა.
- მიდი, კაცო!
- ნუ გეშინიათ, გაბედეთ!
- ვინ არის ყოჩაღი?

ვერავენ გაბედა, ერთიმეორეს ელის, მეორე — მესამეს. შეიქნა ქოთ-ქოთი, უწყსრიგო მოძრაობა. ტალღა ტალღას მიეხეთქა და ჯგუფი ჯგუფს. საქმისათვის-კი არავე გასწირა თავი.

— მიშველეთ, დავიღუპე! — არაადამიანური ხმით დაიღმუფლა პატრონმა და გულშემოყრილი დაეცა ფერფლით დაპენტილ მიწაზე.

— დავიწვებით. იქ მისვლა შეუძლებელია! — დაბალი ხმით წამოიძახა ვილაცამ.

— მართალია, მართალი! — დადასტურეს სხვებმა. ხალხი შეურიგდა იმ აზრს, რომ ცოცხალი საქონელი ჯოგში უნდა გამოიწვას. მართლაც, თანდათან გაძლიერდა პირუტყვთა ფეხის თქარა-თქური და სასიკვდილო ბლავილი...

მოულოდნელად ბავშვების გუნდი ორად გაიპო. ცეცხლით განათებულ მოედანზე პატარა გოგონა გადმო-

ხტა. მას შავი, დახუჭუჭებული თმა და გიშერივით მოლაპლაპე დიდრონი თვალები ჰქონდა. ელვის სისწრაფით გადაიძრო მოკლე პალტო. გოგონას გულზე წითელი ლენტის აფრიალდა. ფართო შუბლს მრისხანების ნაოკი დასკდომოდა.

— აჯილა უშველის! — შესძახა ჯაბუკმა.

— აჯილა, აჯილა! — აღტაცებით დაიგრგვინა ხალხმა (აჯილას საერთოდ უშიშარ და დაუდევარ ფაშატ ცხენს ეძახიან; ჩვენს სოფლებში ამას ხშირად გამოცვლილ სახელად არქმევენ ისეთ ქალს, რომელიც გასაოცარ სიყოჩადეს იჩენს ყოველგვარ სახიფათო წუთში) იგი მოემზადა სამოქმედოდ.

— შერცხვით, ვაჟკაცო! — ცალი ხელის მაღლა აწევით შეჰყვირა მან და ცეცხლმოკიდებული კარებისკენ გადახტა. მიუახლოვდა. შიშველ ფეხებს ალი მიეტმასნა. ქორფა კანი დაამკვრახა ძლიერმა მხურვალეებამ. იგი მაინც არ შესდგა. შვილიდევით მოხრილი მკლავი სახეზე აიფარა და კარების ურდულს ეცა. ჩხირი მძლავრად ამოსწია. ვერ ამოიღო. ძირს ქვას დასწვდა. ერთბაშად ზემოდან გავრვარებული თივა გადმოეშვა, გოგონას თავზე დაეცა და გაიშალა მიწაზე. თმაზე თხელი ალი ავარდა. აჯილამ სწრაფად შეიბერტყა და ჩხირს ქვემოდან აჰკრა ქვა. კარები გაიღო.

— მოერიდე! გაგიყვებულმა საქონელმა არ გაგთელოს! — მძლავრი ხმით შესძახეს მას.



მან პაწაწინა ხელი გამოიწოდა.

აჯილა გულადად გადახტა გვერდზე და ცეცხლის ზღვას მოხდენილად გაუსხლტა. კულვაბზეკილი ხარები ერთიმეორეზე გამოკვივდენ აფორიაქებული ბუნაგიდან. ხალხის შემოხვეული რკალი გაწყდა, ყველანი აქეთ-იქით მიაწყდნენ. ცოფმორეული საქონელი თავიქვე დაეშვა. და-



სასრულს ცხენიც გამოვარდა ჭიხვინით. მას ზურგზე ბოლი ასდიოდა. დამწვარმა ხორცმა ტრუსის სუნი დააყენა. სიარულის უნარი სანახევროდ დაჰკარგოდა. ადვილად დაიჭირეს. ბეთალმა გასინჯა.

— მორჩება!? — იკითხა შუახნის გლეხმა.

— შეიძლება მორჩეს! — უპასუხა მან. შუქიანი ალი თანდათან მინელდა; მისი ადგილი ჩაშავებულმა კვალმა დაიჭირა, რომელიც სივრცეში ლეგა ღრუბლებად იშლებოდა. ყოჩაღ გოგონას ირგვლივ მაყურებელი ხალხი შემოეხვია. შეტრუსული თმა ჩამოვარცხნეს. ტანისამოსი გაუსინჯეს და მოთეთრო ფერფლი გადაუბერტყეს. იგი უგრძნობი გამომეტყველებით ისწორებდა წითელ ლენტს. ოდნავ დამცინავი ღიმილი თამაშობდა მის თხელ ტუჩებზე.

— გაუმარჯოს აჯილდას! — აღფრთოვანებით შესძახა პატარა ბავშმა.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოოს! — დაიგრგვინა ყველამ.

— ვინ არის!? — ბურანში მყოფივით ვიკითხე მე.

— განა არ იცნობთ? — მომიგო გვერდზე მდგომმა.

— აქაურია. ღარიბი გლეხის შვილი. მეტის-მეტად მამაცი და უშიშ რი. ვიდრე რადიოსადგური დამთავრდებოდა, მის ანძაზე ნახევრამდე ისე აცოცდა, როგორც ციყვი. ამის გამო სოფელმა ზედმეტ სახელად აჯილდა დაარქვა.

მე ველარ მოვითმინე და მისკენ გავქანდი სწორედ მაშინ, როდესაც მან გულცივად ჩაიქნია ხელი და შინისკენ წასვლა დააპირა.

— მოითმინეთ! — შევეხვეწე მას. აჯილდა შესდგა, შემომიბღვირა და მომიგო:

— რა გნებავთ?

— როგორ გაბედეთ, ჰა? — წარმოეთქვი ანარჩის მიუცემლად.

— მე პიონერი გახლავართ! — მიპასუხა ამაყად.

— პიონერი!?

— დიად!

— ბოდიშს ვიხდი!.. თქვენისთანა უშიშარისთვის არაფერს არ დავიშურებ... მაგრამ ამაყმად შესაფერი ჯილდო არა მაქვს... აი მიიღეთ ეს საჩუქრად!.. მე ამოვიღე ჟურნალ „პიონერი“-ს ახალი ნომერი და გავუწოდე. იგი შესდგა. თვალები დააცეცა. აქამდე მოკმუხენილი სახე სიხარულმა გაანათა.

— ძვირფასი ჯილდო?... ამაზე ძვირფასი რაღა იქნება!? გმადლობთ... გმადლობთ!.. მან პაწაწინა ხელი გამომიწოდა და „პიონერი“ გულში ჩაიკრა. იმ წუთს სხეულში უცნაური სიამოვნება ვიგრძენ. მივხვდი, რომ უშიშარ გოგონას ვასიამოვნე. თავისებური ალტაცებით გამოვბრუნდი შინისაკენ. ხალხი ქება-დიდებას ასხავდა მამაც აჯილდას.

სიმონ მთვარაძე.

ლახურის არხი

მორბის და მოგორავს მდინარე ლახური, ლახური ზვირთებით ლობეებს გლეჯს. აქვე, სოფელში, შრომაა გლეხური, ახალი ყოფის სქიმავენ ღვედს!..

როცა ზაფხულობით დიდდება მდინარე და ველურ ღმუილით ტალღებს აქანავებს, — ამღვრეულ დუდუნით ნაპირებს მოარღვევს და გვერდზე გაწოლილ კლდეებს აბანავებს.

სოფლისა გლეხობამ ასე მოისაზრა: „უნდა გავიყვანოთ არხი ლახურისო, ურწყავი ყანები დროზე რომ მოირწყოს, რომ კარგი ყანები მშრომელებს ეღირსოს!“

და, მართლაც, დაჭიმულ კუნთებით სოფელმა გმირული შრომითვე არხი გაიყვანა, აწ მინდორ-ველებში იკმარებს სისველე, ზღვასავით ღელავენ პურების ყანები!

მინდვრები ბიბინებს მოსავალ ყანებით, დღეს შმაგი ლახური მორჩილად დუდუნებს! ახლო ცხოვრებავე, შენ გეთაყვანებით და მედგრად დაგიცავთ, ვერ დაგვადუნებენ!..

შალვა შაველაშვილი

მოდის რაზმი

მზე უცინის ყელსახვევებს და ღროშების ჭალაკს, მოდის რაზმი, და სიმღერა ეფინება ქალაქს.

მოდის რაზმი, და წკრიალით ასე მღერის ის: „ვართ ბურჯი და მომავალი ს. ს. რ. კ-ის“.

გვიყვარს მზე და სიხარული ვარსკვლავთვალება, გვიყვარს შრომა და ვასრულებთ მძლე დავალებას.

ფეხშეწყობით! მხარი მხართან! ერთი, ორი—წინ! მოვდივართ და დაგვიდგება, გზას შეგვიკრავს ვინ?

გავიზრდებით, მოვსპობთ ქვეყნად ჩხუბს და ღაობას, ვართ მომავლის სიხარული ნორჩი თაობა!

მოდის რაზმი და წკრიალით ასე მღერის ის: „ჩვენ ვართ გამძლე მომავალი ს. ს. რ. კ-ის“

მარიკა მიქელაძე

გ ი მ ნ ა ო



მეორე ეპიზოდი.

ფართო სარდაფი, შუაზე პატარა ფანჯარა, რომელსაც მინები არა აქვს. კუთხეებში მილაგებულია: კასრები, სკივრი, ყუთები, ქილები და სხვა საოჯახო ნივთები. ბავშვებისათვის მოწყობილია საერთო საწოლი — ტახტი. სარდაფი ნახევრად ბნელია, კედელზე ჩამოკიდებული სანათი ბეჭუტავს. სცენაზე მხოლოდ ბავშვები არიან, რომლებიც ფარეკობით ერთობიან. მათ ხელმძღვანელობს გოჩა. ბავშვები დგანან ორ მწკრივად. ხელში უჭირავთ ხმლების ნაცვლად ჯოხები, ხოლო ფარების მაგიერ ციციხე, ქაფქირი, ჩამჩა, თეფშები, მაწვნის ქილა და სხვა ჭურჭელი. მარო ტახტზე დახტუნავს და ადევნებს თვალსურს ამ ბრძოლას. იბრძვის სამი სამის წინააღმდეგ. მეშვიდე თვით გოჩაა.

გოჩა. აბა, ახლა დაეწყეთ ორ მწკრივად! ეგრე! ახლა ხმლები და ფარები მოიმარჯვეთ... დასცილდით ერთმანეთს სამი ნაბიჯით... მაგდენით არა... ეგრე. ახლა მე სამს დავითვლი და როდესაც ვიტყვი, „სამი“, მაშინვე ეცემით ერთიმეორეს... მართლა, ფილო, თქვენ წითლები იქნებით; გურამ, თქვენ კი თეთრები...

მარო. დაიწყეთ, დაიწყეთ და ნახავთ, თუ ძია დათო არ გაგვიწყრეს... იმან ხომ აგიკრძალათ ომიანობის თამაში?

გოჩა. ოო... კინაღამ დამავიწყდა! მარო, შენ ჭრილობა გადაუხვიე დაჭრილებს.

მარო. ვერ მოგართვი, ვერ მოგართვი!.. მე აქედან დაგიწყებთ ცქერას, როგორ დაიმტვრევთ ცხვირ-პირს.

ფილო. მაშ არ დავიმტვრევთ...

გოჩა. აბა, დავიწყეთ... ერთი, ორი, სამი!.. არიქა, ფილო, ეციოთ თეთრებს! (ბავშვებმა დაიწყეს ფარეკობა; ბრძოლა თანდათან ძლიერდება. ისმის ქშენა და სიტყვები: „მე შენ გიჩვენებ!“ „ასე, მოგხვდა თუ არა“. დროგამოშვებით იმტვრევა ჭურჭელი, რომელიც ხელიდან უფარდება ბრძოლის დროს... ბოლოს გაიმართება ხელჩართული ბრძოლა და ხან ერთია ქვეშ და ხან მეორე. საბოლოო გამარჯვება წითლებს რჩებათ. მთელი ამ ბრძოლის დროს გოჩა ხელმძღვანელობს, გადაუხტება ხან წითლებს და ხან კი თეთრებს). წითლებო, ჰკარით მარცხნით!.. პირდაპირ... ეგრე... ყოჩაღად, მამაცად!..

მარო. ვაიმე, მაწვნის ქილა გატეხეს, თეფშიც... დაიცათ, ჩამოვიდეს ძია დათო და ნახავთ თქვენს ყოფას... ერთი ამათ დახედეთ, ვაიმე, ვაიმე!..

გოჩა. ახლა კი ეციოთ ხელით!.. სარმა არ დაგავიწყდეს, გიგლავ... ფილო, შუაქვეური მოსდე!..

მარო. ვაი... ყველაფერი დაღეწეს. რალა ვქნა, თავს მოიკლავს დეიდა სილონია, თავსა.

გოჩა. ა, ყოჩაღ, წითლებო, ეგრე მაგათ, ეგრე!..

გურამი. (მარცხდება). აღარ მინდა, აღარ მინდა!..

მარო. შესწყვიტეთ ბრძოლა... უბრძანე, გოჩა, შესწყვიტონ.. დახოცეს, დახოცეს ერთმანეთი (აიღებს ქოთნით წყალს და გადაასხავს მე-ბრძოლთ). არც ახლა მორჩებიო!.. ეპე, გაგრილდით!..

დათო და სილონია.

დათო. ეს რა ამბავია?!

სილონია. უი, დამიდგეს თვალები, ეს რა ღვთის წყრომიაა?!

დათო. კიდეც ჩხუბი!.. ეს სულ შენი საქმე იქნება, გოჩა! (ბავშვები დარცხვენნილები დგანან).

სილონია. რალა ვქნა ახლა, რალა ვქნა?!.. ყველაფერი დაუღლეწით! (ჰკრეფს გაფანტულ ჭურჭელს და ჩუმად ბუტბუტებს)

დათო. რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ, ჩემო ბავშვებო, რომ არ მომწონს, როდესაც თქვენ ჩხუბობთ. ამით თქვენ სიმკაცრეს ეჩვევით. ფარეკობას განა ვერ მოესწრებით!? ტანსაცმელს იგლეჯთ, ჭუჭყიანდებით...

სილონია. შენ მაგათი ტანსაცმელი გენანება და ამდენ ჭურჭელს კი აღარ იკითხავ...!

დათო. კარგი, სილო, ნუ წუწუნობ! ჩემო ბავშვებო, უკანასკნელად გიმეორებ: თუ კიდეც გაიმეორებთ ამგვარ გასართობს, მე იძულებული ვიქნები დაგშორდეთ.

მარო. ეპე, მოგხვდათ კინკრახოში!..

დათო. რა სთქვი მარო?

მარო. მე ისა ვთქვი, ძია დათო, „ომიანობას“ ნუ ითამაშებთ მეოტი, მაგრამ არ დამიჯერეს, მე ვიცოდი, რომ თქვენ არ გესიამოვნებათ.

დათო. ჰო, მე ვიცი, რომ შენ ჰკვიანი გოგონა ხარ... მაშ მაძლევთ სიტყვას, რომ აღარ მოაწყობთ ომიანობას?

ბავშვები. (გოჩას გარდა). აღარ, აღარ ვიომებთ, აღარ ვიჩხუბებთ, აღარ გავმართავთ ფარეკობას, გაძლევთ სიტყვას, გაძლევთ სიტყვას!.. (დადუმებული დგას).

გოჩა. (უკმაყოფილოდ გადის).

სილონია. შენ, გოჩა, შენ კი არა მპირდები, რომ აღარ იბრძოლებ?

გოჩა. მე მხოლოდ ვხელმძღვანელობდი, მე თვითონ არ მიბრძოლია.

დათო. (დააცქერდება). მაშ ახლა კი სიმღერით გავერთოთ. აი, მე რომ შეგასწავლეთ. (ჩამოჯდება ტახტზე, გარს შემოეხვევიან ბავშვები. მარო დგას ტახტზე და ჰბაძავს ლოტბარს. მღერიან ერთად).

კავკავის მხარეს ბნელი ძალები
შავი ზრახვებით აჰკედლებია,
მაგრამ მეტბრძოლი ჩვენი მამები
შავ რაზმებს როდი აპრიდებიან.
ჩვენი მამები საბრძოლველად
თერგის ნაპირებს მიმოსდებიან,
და წითელ ჯარებს ერთგულობითა
დიად საქმისთვის შეერთებიან.

(მოისმის გოჭის ყვირილი. სიმღერა შესწყდება. შემოდის სიკო, რომელსაც გოჭი თავდაპირა უჭირავს. ბავშვები სიცილს ასტეხენ და მიჰბაძავენ გოჭის ჭყვირილს).

სიკო. ეს ხომ თქვენია. ყაზბეგთან დავიჭირე, ნიშანზე ვიცანი... კიდეც კარგი, რომ ფეხზე თოკი აქვს შემბული, თორემ ხომ ვერ დავიჭერდი...!

დათო. აი, ეგ სამღლე, ეგა!.. რამსიმორეს გაპარულა... მოიყვა ახლა კასრში ჩავუძახოთ... აქედან კი ველარ ამობრძანდება. (ჩასვამენ კასრში) აბა, თუ ლორის შვილი ხარ და ამობრძანდი... (ჭყვირილი მიწყდა)

დათო. (სა დუმლოდ). ახალი ხომ არაფერი იცი?

სიკო. როგორ არა, შენი ჭირიმე, როგორ არა (გოჩამ ყურა მოჰკრა, შეუმჩნევლად ამოეტუზა სიკოს და უსმენს). გოჩას მამამ გივარგამ შემოგიტყალათ, ნანობას აღარაფერი დაუჯე-

*) დასაწყისი იხ. „პიონერი“ № 10.

როთ, ლენერლის ჯარის აგენტი გამოდგა და არა ჩვენი თანამოაზრეო...

დათო. არც საკვირველია. მე გავაფრთხილე გლეხები, მაგრამ არ დამიჯერეს... ვერაფერს ვატყობთო... მერე?

სიკო. ტყვია-წამალი აღარ ანდოთ, სულერთია, ჩვენ არ გამოგვიგზავნისო... მაღალ წრეში აღზრდილი, ჰაი და ჰაი, რომ გლეხების მხარეს არ დაიჭერსო.

დათო. სინამდვილეა, სინამდვილე. ნუთუ იმათ ჰგონიათ, რომ ტყვია-წამალს ნანობას მეშვეობით იღებდნენ? ყველაფერს ჩემი ძმის ხელით ვგზავნიდი და კვლავაც ასე მოვიქცევი.

სიკო. ის ვაჟბატონი თურმე აქეთ წამოსულა და შეიძლება მოვიდეს კიდევ თქვენთან, როგორც წითლებისაგან გამოგზავნილი ტყვია-წამლისათვის.

დათო. არაფერია, მობრძანდება და ჩვენც დაფუხვდებათ, აი, ხომ ხედავ, ტყვია-წამალი მე აქა მაქვს მოთავსებული (აჩვენებს იატაკზე, სადაც ამოჭრილი სახურავია, რომელიც ურდულით იკეტება).

გოჩა. (მეტის ყურადღებით განაგრძობს დაზვერვას და მოსმენას).

დათო. იმას კი მე მოვიპატიებ გვერდზე, სხვა სარდაფში, და დავარწმუნებ, რომ მე არავითარი იარაღი და ტყვია-წამალი არ გამაჩნია. შემდეგ კი ვეცდები შიგვე მოვამწყვდიო.

სიკო. კარგი აზრია, შენი ჭირიმე, კარგი აზრი, ეგრე სჯობია, მოიშორე როგორმე თავიდან (მოისმის რახუნი. ყურადღება კარმა მიიპყრო. ფიქრობს აირბენს კიბეზე და გააღებს კარს).

ნ ა ნ ო ბ ა.

ნანობა. (კბილებდაკრეჭილი. წვერი თხასავით ჩამოზრდია, ხოლო საულვაში ადგილები გაქუცული აქვს. საერთოდ სასაცილო გამომეტყველება აქვს, რის გამო ბავშვებს უნებურად სიცილი აუტყყვებათ). ჰე, ჰე... მასწავლებელს ვახლავარ, ჰე, ჰე... თქვენმა შეიძლება მითხრა, რომ აქ ბრძანდებით და...

დათო. ეგრე რომ არ ყოფილიყო, სწორედ გამიკვირდებოდა თქვენი მოსვლა...

ნანობა. ჰე, ჰე... თქვენც აქა ბრძანებულხართ, სიკო, ჰე, ჰე... როგორ არიან შენი ცხენები?

სიკო. არა უჭირთ რა, მაგრამ ისინი არასდროს არა ყოფილან ჩემები. მე მხოლოდ დაქირავებული ვარ... (გადადის ბავშვებთან. მღერინ ჩუმად).

ნანობა. მოგესხნებათ, ბატონო დავით, რისთვისაც უნდა შეგაწუხოთ... როგორც გივარგიმ, აგრეთვე სხვა ამხანაგებმა გთხოვეს, რომ დღესვე მივაწოდოთ რაც შეიძლება მეტი მარაგი ტყვია-წამლისა.

დათო. გივარგიმ გთხოვათ?

ნანობა. დიალ, რასაკვირველია, გივარგიმ...

დათო. საკვირველია... მე ამ ორი დღის წინად შევუთვალე გივარგის, რომ რაც კი მათ ტყვია-წამალი მომაბარეს, უკვე სულ გავუგზავნე და მაინც მთხოვენ კიდევ?

ნანობა. მე კი იმათ დამარწმუნეს, რომ რამდენიმე ყუთი კიდევ გაქვთ.

დათო. მე კი შემძლია დავარწმუნოთ, რომ ერთი ცალიც აღარ მომიტანება სარდაფში... აი, მე ახლავე ჩამოვიტან ვასალებს. თქვენ აქ მომიცადეთ (გადას).

ნანობა. ძალიან კარგი... წყეული ბებერი!

გოჩა. ძია ნანობა, მე თქვენს ლაპარაკს ყური მოვკარი. ძია დათომ ტყუილი გიჩხრაო... თუ არ

გამცემთ, მე გაჩვენებთ ტყვია-წამალსაც და თოფ-იარაღსაც...

ნანობა. რას ამბობ, მართლა? აბა ჩქარა მაჩვენე და კარგად დაგასაჩუქრებ.

გოჩა. აი, მობრძანდით (მიიყვანს იატაკისქვეშა სარდაფის სახურავთან, გამოსწევს ურდულს და ახდის სახურავს) აი, ჩაბრძანდით და ყველაფერი დაათვალიერეთ...

ნანობა. შენ კი აქ მოიცადე და როდესაც ყველანი ზევით ავლენ, მაშინვე ახადე სახურავი... თუ მანამდე დათო ჩამოვიდეს და მიკითხოს, უთხარი წავიდა თქო... (ჩადის)

გოჩა. ძალიან კარგი (დახურავს და ურდულს გაუყრის, ზედვე დგას სახურავზე) ვაშა, ვაშა, ვაშა!..

ყველანი. (შესწყვეტენ ლილინს). რა მოხდა, რა იყო, ხომ არ ვაგვიყრი?

გოჩა. სულაც არ ვაგვიყებულვარ... მე კარგ გუნებაზე ვარ და მინდა ქისტური ჩამოვუარო. (ამოიღებს სკივირიდან დოღს და სალამურს) აბა, ერთი დასცხე, ძია სიკო (გადასცა დოღი). აჰა, ქისტური ჩაარაკრაკე (სალამური გადასცა ერთ-ერთ ბიჭს) ფიქო, გიგლა, ტაში დასცხეთ (დოღი და სალამური ახმაურდა, ჩამოუარა გოჩამ და სხვებიც გამოიწვია. ცოტა ხნის შემდეგ გოჩა სხვებს დაუთმობს ცეკვას და ყველას შეუძინებლად აძვრება ფანჯარაში და გაიპარება).

დათო.

(უცქერის იმ ადგილას, სადაც ნანობა იდგა) (მისცვივდებიან). ძია დათო, ძია დათო, ჩამოუარეთ, ჩამოუარეთ!

დათო. დამაცადეთ, ბავშვებო, დამაცადეთ... (დაკვრა და ცეკვა შესწყდა). სიკო, რა იქნა ნანობა, ის აქედან ვერ ამოვიდოდა ზევით, მე გარედან კარები გადავკეტე...

სიკო. რა მოგახსენოთ, მე ვიფიქრე, რომ თქვენ ერთად ახვედით... (ისმის ნანობას ყრუ ხმა, რომელიც თანდათან ძლიერდება)

დათო. რაღაც ხმა ისმის... სსს... წყნარად, ბავშვებო, (მიუახლოვდება სარდაფის სახურავს. მიჰყვებიან ყველანი. ისმის სიტყვები: „გოჩა, ახადე... დავიხრჩე“). თითქოს ნანობას ხმაა. ის არის... ის არის... (კვლავ ისმის: „გოჩა“...)

ფიქო. ძია დათო, ის გოჩას ეძახის.

დათო. სწორეა. გოჩას ეძახის. გოჩა, შენ ხომ არ იცი, რა ამბავია?

ყველანი. გოჩა, გოჩა, გოჩა! (ბავშვები მიირბენ-მოირბენენ სარდაფის კუნჭულ-კუთხეს)

ბავშვები. აქ არ არის, არ არის აქ!..

დათო. არ არის? (დაფიქრდა) მაშ მე ვიცი, სადაც არის... სიკო, შენ ეს მითხარი, ხომ მართალია, რომ წითლები იმარჯვებენ?

სიკო. მართალია, მაშა... მე გივარგიმ მითხოა... აგრეთვე მთელი გაღმა მხარე აჯანყებულა და წითლებს ემხარებიანო, კავკასის ქუჩები მუშების და გლეხების ბარკადებით საესვა. ხვალ წითლები დიდ შეტევაზე გადავლენ...

დათო. ამიტომ, ბავშვებო, თქვენ ხვალაც აქ მოგიხდებათ ყოფნა. არავითარ შემთხვევაში არ გაბედოთ ზემოთ ასვლა. (ნანობას ხმა)

სიკო. ჩვენ ტყვეს რაღა ვუყოთ?

დათო. იქ ბრძანდებოდეს, მერე მაგისთვისაც მოვიცლი (აპირებს წასვლას)

ყველანი. თქვენ სად მიბრძანდებით, ძია დათო, სად მიბრძანდებით?

დათო. იქ, სადაც ჩემი ვალი მომიწოდებს! (გაგრძელება იქნება)

პიონერები განაკად და სოფლად

ამჟამად ცხოველი მუშაობა წარმოებს პიონერების დასასვენებლად გასაგზავნად; ქალაქის, სამაზრო და რაიონული ბიუროები უკვე შეუდგენ ამ მხრივ პრაქტიკულ მუშაობას. ამ კამპანიის თავისი დროზე დაწყება უეჭველად დადებით შედეგებს მოგვცემს, და საკმაო ნაწილი პიონერებისა გავა ბანაკად, მოეწყობა აგრეთვე ბავშთა მასიური ლაშქრობანი და გასეირნებანი ქალაქ გარეთ; ცხადია, ხელმძღვანელები ძალზე უნდა დაინტერესდნენ ამ საქმით და ალლო აულონ წამოჭრილ დაბრკოლებებს მათი გადალახვის მიზნით.

მთელი ყურადღება ხელმძღვანელებმა იმ გარემოებას უნდა მიაპყრონ, რომ ბანაკად არ გაიგზავნონ: სისხლნაკლებნი, მალარიით, ტუბერკულოზით ან სხვა გადამდები სნეულებით შეპყრობილი ბავშვები, რომლებიც სისტემატიურ მკურნალობას მოითხოვენ და მათი ბანაკად გაყვანა საზიანო იქნება მთელი კოლექტივისათვის, რადგან ბანაკის კოლექტიური ცხოვრება ძვირფასი საზრდოა გადამდებ სნეულებათა ფესვების გასაღმეღად და მთელი კოლექტივის დასაავადებლად.

ბანაკად მყოფმა კოლექტივმა უნდა გამოიყენონ წარსული გამოცდილება, მისგან მიიღოს ის, რაც მისაღება და გამოახოს გზები წარსული დეფექტების გამოსასწორებლად. მაგალითად, გასულ წლებში ზოგიერთი კოლექტივები მიემგზავრებოდნენ ბანაკად ისე, რომ მათ არ ჰქონდათ ერთი მთლიანი გეგმა მუშაობისა, რაც იძლეოდა სათანადო დეფექტებს, ხოლო შემდეგ წლებში ბანაკად ზომავალმა კოლექტივებმა ეს ნაკლი გამოასწორეს, რამაც საგულისხმო მიღწევები მოგვცა. წინასწარ გათვალისწინებული და გეგმიანი მუშაობა ყოველთვის კარგ შედეგებს იძლევა, რაც უნდა ახსოვდეს ბანაკის ხელმძღვანელს, რომელმაც უნდა აწარმოოს გეგმაში გათვალისწინებული მუშაობის შესრულების აღრიცხვა, მუშაობა კი დაკავშირებული უნდა იქნეს კოლექტივის შესაძლებლობასა და ადგილობრივ პირობებთან, სადაც ბანაკს უხდება ცხოვრება.

ბანაკში ფართო გასაქანი უნდა მიეცეს გასამხედროებას, რისთვისაც უნდა მოეწყოს ტირი, სამხედრო თამაშობა, რადიო და საავიაციო საქმის შესწავლა.

საინტერესოა აგრეთვე სხვადასხვა მაზრის ბანაკებს შორის წერილობითი კავშირი მუშაობისა და გამოცდილებათა ურთიერთ შორის გასაზიარებლად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბანაკო ცხოვრებისათვის.

განსაკუთრებული ამოცანები ეკისრება მათ, რომელთაც მოუხდებათ საბანაკო მუშაობა რომელიმე სოფლის ახლოს. ასეთ კოლექტივს შეუძლია გლეხობის წინაშე ფართოდ გაშალოს ის ამოცანები, რომელსაც ისახავს

პიონერთა ორგანიზაცია, სახელდობრ: ჟურნალ-გაზეთების ხმამაღლა კითხვა, სათანადო სამუშაოთა შესრულებით დახმარება სოფლის ორგანიზაციებს (კლუბი, აღმასკომი, ფოსტა და სხ.). მკიდრო კავშირის დაჭერა სოფლის მეურნეებთან და მათ ნათესებთან, დარიგების მიცემა გლეხებისთვის მეურნეობის უკეთ მოსაწყობად (თესლის შერჩევა, მიწის დროზე მოხვნა, გაუმჯობესებული იარაღების შექმნა და სხ.), პიონერები უნდა გახდნენ სოფლად კოლექტიური მეურნეობის პაწია აგიტატორები.


ბანაკმა მთელი თავისი მუშაობა უნდა დაუკავშიროს ადგილობრივი და მახლობელი კოლექტივების მუშაობის გამოცოცხლების საქმეს; ადგილობრივმა კოლექტივმა ბევრი რამ უნდა შეიძინოს ბანაკად მყოფი პიონერებისგან.

იმ პიონერებმა, რომლებიც არ მიდიან ბანაკად და თავისი სურვილით მოუხდებათ გამგზავრება ამა თუ იმ სოფელში დასასვენებლად (ზაფხულის გასატარებლად), უნდა განამტკიცონ ქალაქის კოლექტივების შეფობა სოფლის კოლექტივებზე. ზაფხულში ამ პიონერებმა თავისი დაუზარებელი მუშაობით უნდა შესძლონ: აქტიური მონაწილეობის მიღება ადგილობრივი კოლექტივის მუშაობაში — დახმარება პიონერთა ბრიგადების ჩამოსაყალიბებლად, ამა თუ იმ სამეურნეო იარაღების შესაკეთებლად (სათანადო სპეციალისტის ხელმძღვანელობით), დახმარება შეუკავშირებელი ბავშვების მისაზიდავად კოლექტივში, — მათთან ერთად სხვადასხვა მნიშვნელოვანი ხასიათის სამუშაოების შესრულებით, გაზეთის ხმამაღლა კითხვით, ვარჯიშობით და სხვა, — აგიტაციის-გაწევა ჰიგიენის დასაცავად (მოწყობა უსუფთაო პიონერის გასამართლების). შევებულმა პიონერმა წერილობითი კავშირი უნდა დაიჭიროს თავის კოლექტივთან და ზოგიერთ გაუგებარ საკითხზე უნდა უგზავნოს სოფლის კოლექტივის ცხოვრებიდან შეკითხვები კოლ. ხელმძღვანელს სათანადო მითითების მისაღებად.

შევებულმა პიონერმა უნდა დაანახოს სოფლის ბავშვებს, რომ მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთო საქმეში, დაეხმარონ უფროსებს, უნდა აჩვენოს თუგინდ პატარა, მაგრამ შესაძლებელი და მათთვის საინტერესო საქმე, რომელიც აუცილებლად გამოხატავს მათ აქტიურ მონაწილეობას ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნის საქმეში.

დასასრულ, პიონერებმა უნდა შესძლონ ზაფხულში მთელი თავისი თეორიული გამოცდილების პრაქტიკულად გამოყენება და სათანადოდ მომზადებულნი უნდა შეხედნენ წინსვლას ახალი ცხოვრებისაკენ.

კრედიტული
101033



ამხ. კრუპსკაიას წერილი თელავის პირველი ათწლეულის მოწაფეთადმი.

თელავის პირველი ათწლეულის პედაგოგიური განხრის ჯგუფების მიერ მოეწყო კრუპსკაიას დაბადებიდან 60 წლის შესრულების აღსანიშნავი საღამო. ამ განსაკუთრებულად სასარგებლო საღამოს შესახებ რედაქციამ მასწავლებელ დ. თურდოსპირელისაგან მიიღო ვრცელი კორესპონდენცია. თელავის მოწაფეებმა ამხ. კრუპსკაიას წერილი გაუგზავნეს. ვბეჭდავთ ამხ. კრუპსკაიას საპასუხო წერილს:

„ძვირფასო ამხანაგებო!

მივიღე თქვენი წერილი და სურათი; ორივესთვის დიდი მადლობა. ძალიან გამახარა იმან, რომ თქვენ მოგიწყვიათ საბავშვო მოედანი ღარიბი ბავშვებისა და ქარხნის მუშების შვილებისათვის, — ეს საქმე ძალიან საჭიროა. ყოველთვის მიხარია, როდესაც ახალგაზრდობა ხელს შვილებს საჭირო საქმეს.

ვიგონებ ახალგაზრდობას, როდესაც ჩვენც გვინდოდა საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმა, მაგრამ ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო მისი მოგვარება. ვისურვებთ თქვენს მუშაობაში წარმატებას. როდესაც ვუყურებ ჩვენს ახალგაზრდობას, ხშირად ვფიქრობ იმაზე, რომ კომუნისმიის საქმე უძლეველია, მას ვერაფერი ვერ შეაფერხებს. გიგზავნით მხურვალე სალამს თქვენ და მთელს თქვენს სასწავლებელს“.

ნ. კრუპსკაია.

სასწავლებლის მოწაფეთა და მასწავლებელთა საჯარო კრებაზე წერილის წაკითხვას მქუხარე ტაში მოჰყვა. დაადგინეს სასწავლებლის მუშაობის გასაძლიერებლად შეჯიბრი გაიმართოს ჯგუფებსა და სასწავლებლებს შორის, მაქსიმუმამდე გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, შეებრძოლონ ჯგუფში მეორე წელს დარჩენას, დაგვიანებას, ვაკვეთილების გამოტოვებას და ყოველგვარ მავნე მოვლენას.

თესვის კამპანია და პიონერები.

სოფ. პირველი ხორგის (ზუგდიდის მაზრა) პიონერთა ორგანიზაცია მხურვალე მონაწილეობას იღებს თესვის კამპანიის ჩატარებაში. პიონერთა ორგანიზაცია ეხმარება ღარიბ გლეხებს თესლით. კოლექტიურად მოვაწყეთ ბოსტანი და ბაღი, ერთ ქვევამდე.

პიონერი აპ. მირცხულავა.

ლურჯხალათელთა კოლექტივი.

სამი თვეა მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა სიღნაღის თემის პიონერ-ორგანიზაციაში ლურჯხალათელთა კოლექტივი (21 პიონერი).

კოლექტივს ხელმძღვანელობს კომკავშირელი ა. კევიცივი, ხოლო მისი თანაშემწეა პიონერი მ. ლეჟიცივი. არჩეულია ადმინისტრაცია, სამი კაცის შემადგენლობით.

ლურჯხალათელთა კოლექტივი აწყობს საღამო-წარმოდგენებს, რომლის შემოსავალიც საექსკურსიო ფონდში ინახება. დადგმულ იქნა მშობლებისათვის უფასო წარმოდგენა. კოლექტივი ნივთიერად ღარიბია.

პიონერთა კოლექტივებს მიეცათ კლუბი; წრიობრივ მუშაობასთან ერთად ნაყოფიერად იმუშავებს ლურჯხალათელთა კოლექტივიც.

კოლექტივს მიზნად აქვს დასახული დადგას წარმოდგენა სცენის მოწყობილობის შესაძენად.

მიშა სა-ვი.

გამოწვევა.

ვინაიდან ჩვენი უურნ. „პიონერი“ მცირე რაოდენობით ვრცელდება, სიღნაღის პიონერებმა მიზნად დავისახეთ გამოწვევების საშუალებით ავწიოთ მისი ტირაჟი.

ვიწერ უურნალს სამი თვით და ვიწვევ შემდეგ პიონერებს: ამხ. ს. გეგეჭკორის კოლექტივიდან: ვ. ხუციშვილს, კ. ცინცაძეს, ც. ნაცვლიშვილს; ს. ჯულაშვილის სახ. კოლექტივიდან: შ. ყარალაშვილს, ვ. აბულაშვილს; ამხ. კ. ლიბენეტის სახ. ნ/პ. კ.გ. არუთინოვს, გრიშა არუთინოვს, ყაჯარლუხოვ სერგოს, მარგო გომელაურს; ამხ. მიასნიკოვის სახ. თელავის კოლექტივიდან: ე. სანთურიანს, მ. მირზოიანს, ს. ლუარსაბოვს, ბ. მარტიროსიანს და ლენა კირაკოსიანს.


მიშა სააკოვი.

გამოვიწვირეთ უურნ. „პიონერი“

სოფ. ხიბულის (ზუგდიდის მაზრა) 4-წლედთან არსებული ნ/პ კოლექტივის წევრებმა გამოვიწვირეთ უურნ. „პიონერი“ ერთი წლით.

ამავე მიზნით ვიწვევთ: ს. გაშფერდის და ზუბის 4-წლედებთან და ლესიჭინის, ჭაჭინჯის, ყულისკარის, ახალი ხიბულის, ნარაზენის და კირცხის 7-წლედებთან არსებულ ნ/პ კოლექტივებს.

ნ. ქავთარაძე.



— ბიძია განსახმომო! საჭირო ნივთი ჩამოგვარდათ, ასწიეთ, გამოვადგებათ!

როგორ ჩავატარეთ მე-9 საერთაშორისო კვირეული

(სიღნაღის თემი)

როგორც სხვაგან, ისე სიღნაღის თემშიაც წინასწარ დაიწყო დღესასწაულისათვის მზადება. თემის ყველა კოლექტივში ჩატარებულ იქნა საუბარი კვირეულის მნიშვნელობის შესახებ. 19 მაისიდან დაიწყო შემოწირულებების შეკრება, რაშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ შეუკავშირებელი ბავშვებიც.

22 მაისს მოწყობილ იქნა სიღნაღის პიონერთა დემონსტრაცია კარნავალით, რომელსაც 900-მდე პიონერი დაესწრო. დემონსტრაციას ხელი შეუშალა წვიმამ, რის გამოც გადადებულ იქნა 27 მაისისათვის.

27 მაისს მზიანი დღე იყო. სკოლებში შეწყდა სწავლა და დაიწყო დემონსტრანტების შეგროვება დანიშნულ ადგილას. 10 საათზე გამოჩნდა პიონერთა მწკრივი, რომელსაც თან ახლდა კარნავალი (ხუტები, გენერლები და სხ.).

შემოიარეს სიღნაღის მთავარი ქუჩები, და 1 საათზე დემონსტრაცია გაემართა ზემო მოედანზე, კოოპერატივის წინ, სადაც ჩატარდა საზოგადოებრივი კრება. სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ტ. ბეჟანოვი და მ. ცაქაშვილი, რომელთაც უმთავრესად ილაპარაკეს ბავშთა კვირეულზე. პიონერთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ს. ყაჯარდუზოვი. ამის შემდეგ პიონერთა მწკრივი გაემართა სიღნაღის სანაპირო ქუჩებისკენ, რის შემდეგ მხიარულად დაიშალა.

დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 2000 ბავში. აღსანიშნავია, რომ ფართო მოსახლეობა მხიარულად შეხვდა ჩვენს გამოსვლას.

ბავშვობები: გ. ლეჟნიევი და ირ. ელიგარაშვილი

ქოგულეთში.

ა/წ 14 აპრილს ქოგულეთში დღესასწაულობდნენ ადგილობრივი პიონერ-ორგანიზაციის არსებობის ხუთი წლის თავს. ბათუმიდან ჩამოვიდნენ დელეგატები ცოცხალი გაზეთით, სასულე ორკესტრით და გაემართნენ ცენტ. კლუბში, სადაც მათ შეხვდნენ ქოგულეთის პიონერები. შეხვედრის შემდეგ ყველანი გაემართნენ ადგილობრივ ბაღში, სადაც შესრულებულ იქნა ცეკვა-თამაშობანი. ამის შემდეგ გაიხსნა კრება, სადაც გამოდიოდნენ პიონერები. აქვე გამოვიდა ცოცხალი გაზეთი.

დადგა სადილობის დრო, და პიონერები მხიარული სახით გაემართნენ წითელი სასადლოსაკენ. სადილობის შემდეგ ბათუმელი ამხანაგები დაბრუნდნენ ბათუმში სრულიად კმაყოფილნი მოგზაურობით.

ვალენგინ ბისგარინი.

ქარელი, გორის მაზრა.

ქარელის ნ/პ ორგანიზაცია დიდი აღფრთოვანებით მიეგება ბავშთა მეცხრე კვირეულს. გამოვიწვიეთ სხვა სოფლის ორგანიზაციები ამ დღესასწაულის ჩასატარებლად და ქ. გორში გავგზავნეთ პიონერი, რომელიც მიესალმა გორის ნ/პ ორგანიზაციას ქარელის სახელით.

მოწვეულ იქნა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ პიონერთა და შეუკავშირებელი ბავშვების მშობლები. ამავე საზეიმო სხდომაზე მიღებულ იქნა ბავშთა მეცხრე კვირეულის აღსანიშნავად რამდენიმე შეუკავშირებელი ბავში პ/ორგანიზაციაში.

აგრეთვე ჩატარებულ იქნა ფასიანი საღამო უპატრონო ბავშთა დასახმარებლად. აღებული ფული სათანადო ორგანოს გადაეცა.

პიონერი ლადო ლომიტაშვილი.

უბკითხვაზე ვუპასუხებთ.



ამხ. ნიკოლოზ ქუთათელაძეს.

ოქტომბრელი 11 წლიდან გადაირიცხება პიონერ-კოლექტივში, პიონერი კი 14 წლიდან — კომკავშირში. აქტიური პიონერი შეიძლება ადრე გადაირიცხოს კომკავშირში.

ამხ. ი. გრიგოლაშვილს.

პიონერ-კომკავშირელი ვალდებულია იმუშაოს პიონერ-ორგანიზაციაში.



კარნავალი მე-9 საერთაშორისო კვირეულის დროს.

ამხ. ტ. კრიხელს.

ქურ. „პიონერი“-ს კორესპონდენტად თუ გსურთ გახდეთ, სისტემატიურად უნდა აგზავნოთ საქმიანი წერილები და შენიშვნები რედაქციაში პიონერთა ორგ. ყოფა-ცხოვრების შესახებ.

კრებისა და მეცადინეობის დროს ჰიგიენური თვალსაზრისით საჭიროა ქუდის მოხდა.

ამხ. ნ. ჯანელიძეს.

პიონერებს შეუძლიათ დელეგატების გამოსასწორებლად თვითკრიტიკის გამოყენება (იხილეთ დებულება „მსუბუქი კავალერიის“ მუშაობის შესახებ, რომელიც ამ ნომერში იბეჭდება).

ზინოვიევა და კამენევა დაგმეს თავისი შეცდომები და როგორც ლენინელები დაუბრუნდნენ საკ. კომ. პარტიის (ბ) რაგებს.

კოლექტივის ხელმძღვანელს არა აქვს უფლება თემბიუროსა და თვით პ/კ. დაუკითხავად მიატოვოს მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა, რისთვისაც პასუხს აგებს სათანადო ორგანოების წინაშე.

ამხ. ნინა ხელაიას.

პიონერს, რომელსაც ასაკი შეუსრულდა, შეუძლია დაეხმაროს კოლ. და რგოლის ხელმძღვანელებს მუშაობაში, ხოლო აღრიცხვიდან მოიხსნება.

ჩვენს ქურნალში ქუთათისის პიონერების წერილები იმიტომ იბეჭდება იშვიათად, რომ არ სწერენ.

რედაქცია

ჩვენს ჩაი.



— ნუთუ ეს მწვანე ფოთლები ამ დაბალ ბუჩქებზე, რომლებიც ლამაზად შვენნიან ჩაქვის პატარა გორაკებს, მართლა ჩაია, სურნელოვანი, გემრიელი „ჩინური“ და „ინდოეთის“ ჩაი? — კითხულობს მგზავრი და აღტაცებით შესცქერის ამ კუთხეს, მუდამ ამწვანებულ მიდამოებს, შავი ზღვის სანაპიროების შვენებას.

— დიალ, — უპასუხებს ფოტო-კორესპონდენტი, რომელიც ათვალეირებს, თუ საიდან მიუღვეს გადასაღებად ამ მიდამოებს და ვერ ამოურჩევია, რადგან ერთმანეთზე ლამაზი არეგებია... — დიალ, ჩაქვის ჩაის პლანტაციები ყველაზე დიდი პლანტაციებია საქართველოში და ყველაზე ხნიერი: უკვე 36 წლისაა. ძველად მათი პატრონი იყო „საუფლისწულო უწყება“, აქ მოსკოველი მეჩაიე ვაჭრები — პოპოვები — აკეთებდნენ ჩაის მოშენების და გავრცელების ცდებს. მაგრამ მაშინ ეს იყო, ასე ვთქვათ, სხვათა შორის, — სამრეწველო ხასიათი ამ ჩაის პლანტაციებს არ ჰქონდა. მაშინ დიდძალი ჩაი შემოდიოდა ყოველწლივ საზღვარგარეთიდან — ჩინეთიდან და ინდოეთიდან.

ახლა აქ ჩაის პლანტაციებს ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის 5000 ჰექტარი მიწა უჭირავს. შემდეგ ამას მოსდევს პლანტაციები სალიბაურისა და გურიის — ოზურგეთში.

40 ათას ჰექტარამდე ჩაის გაშენების საკითხი უკვე დგას ჩაის მრეწველობის ხუთწლიან გეგმაში. მიმდინარე წელს ჩვენ გვექნება უკვე 7 ათასი ჰექტარი, 1934 წლის დასაწყისში ჩაის ფართობი იქნება კოლმეურნეობაში-18 ათასი ჰექტარი და საბჭოთა მეურნეობაში კი 21 ათასი ჰექტარი.

ამას მოსდევს აფხაზეთის ჩაის პლანტაციები, სადაც ამ ორი-სამი წლის წინად რამდენიმე დესეტინა ჩაის ბუჩქი იყო, ახლა კი მარტო გალის მაზრაში არის უკვე 358 ჰექტარი გლეხთა ჩაის მეურნეობის.

ჩაისთვის გამოსადეგია აფხაზეთში 12 ათასამდე ჰექტარი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეურნეობის სწორად დაყენებით ჩვენ მივიღებთ 30 მილიონ კილო ნედლი ჩაის ფოთლის მოსავალს. ჩაის პლანტაციების შემოსავლიანობა ყველა კულტურაზე დიდია, მათ შორის თამბაქოზეც, და ამიტომაცაა, რომ ახლა აფხაზეთის გლეხობა მიისწრაფის გააფართოვოს ეს პლანტაციები. ახლა საერთოდ დიდი მისწრაფებაა საქართველოს გლეხობაში კოლმეურნეობისადმი, და 30 პროცენტი ჩაით დაკავებული მიწე-

ბისა საქართველოში კოლმეურნეობებზე მოდის.

ჩაის პლანტაციებისათვის თესლს უმთავრესად ჩინეთში შევიყიდით. თესლი დამზადდება გლეხთათვის ჩინეთში კილოგრამი-2,5 მანეთად და ინდოეთში 6 მანეთად; მაგრამ პლანტატორი გლეხები თესლს მიიღებენ კილოგრამს 1 მან. და 60 კაპეიკად; ზარალს თავის თავზე იღებს სახელმწიფო.

ჩაის მწვანე ფოთლები ფრთხილად იკრიფება ბუჩქებიდან, — მხოლოდ ქალების და მოზარდების მიერ; ამ საქმეში მამაკაცების შრომა ნაკლებადაა გამოყენებული.

ფაბრიკაში გამეფებულია ე. წ. „ჩაის სუნი“; აქაურობა გაქვნილია მხოლოდ ჩაის სურნელებით. მწვანე ჩაის ფოთლი რა ფაბრიკაში მოხვდება, გადადის განყოფილებიდან განყოფილებაში, ვიდრე მთლად არ დამზადდება, ვიდრე არ გადაიქცევა გემრიელ შავ „ნამდვილ“ ჩაით. ასეთი ჩაით სავსე ყუთები ერთიმეორეზე აწყვიტა მანქანებთან. ერთ-ერთ განყოფილებაში უკანასკნელად მოწმდება ჩაის ხარისხოვნება; ამ ოთახში დგას რამდენიმე ფინჯანი ახალი ჩაის ნახარშით, რომლის ავკარგიანობას აქვე არკვევენ გემოთი, ახარისხებენ გემოვნებისა და სურნელების მხრივ; ა ედან იცემა განკარგულებანი მთელ ფაბრიკაში — ჩაის ფოთლის ჭკნობის მოსამატებლად ან დასაკლებად...

ჩაქვის ჩაის ფაბრიკა უკვე დაძველდა. ამ საქმეს გაუმჯობესებული და დიდი ფაბრიკა სჭირდება — ახალი მანქანებით.

ახლა უკვე დაწყებულია ახალი ფაბრიკის შენება, რომელიც გადაამუშავებს ჩაის სეზონში 1.200 კილოგრამ ჩაის ფოთლს, ანუ 300 ათას კილოგრამ ჩაის. ხუთი წლის შემდეგ კი საერთოდ საქართველოში: აჭარისტანში, აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში — იქნება ჩაის 48 ფაბრიკა.

ამის განსახორციელებლად ჩვენ ყოველგვარი საშეალება და მისწრაფება გვაქვს: საუკეთესო ნიადაგი, საუცხოვო ჰავა, მისწრაფება ჩვენი მშრომელი გლეხობისა გააფართოვონ ჩაის პლანტაციები და უდიდესი დახმარება მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მხრივ...

ჩვენი ჩაი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიჭირს...

ამ საქმეს დარაჯად უდგას საზოგადოება „საქართველოს ჩაი“.

გამგლედი.



საუზრამნი მშენებლება



ეს მშენიკაზე



გეგმვა

დასავლეთ ციმბირში არის ქალაქი ტარა. წელს, 1 მარტს, დილის 5 1/2 საათზე ამ ქალაქის და მისგან 170 და 220 კილომეტრის მანძილზე მცხოვრებლებმა ცაზე დაინახეს მთვარის ოდენა საშინლად მოკაშკაშე ბურთი, რომელიც სწრაფად მიფრინავდა ცაზე. უცბად გაისმა საშინელი ხმა, თითქოს ზარბაზნები ისროლესო, და ამის გამო ცხენები წაიქცენ, ხალხს გამოეღვიძა თავზარდაცემულს, შენობები შეინძრა, მინები ზრიალებდა. შემდეგ ბოლიდი ორ ნაწილად გაიყო. ის მიწაზე უნდა ჩამოვარდნილიყო, მაგრამ ჯერ არ ვიცით, თუ სახელდობრ სად ჩამოვარდა. ეს ბოლიდი მეტად დიდი იყო.

ზემოთქმულ ცნობებს გვაწვდის პროფესორი დრავერტი. ალბათ, მალე გავიგებთ, დედამიწის რა ადგილს ეწვია ციდან ეს სტუმარი.

საინტერესოა გავიცნოთ, რას წარმოადგენს ბოლიდი.


ხანდახან ციდან მეტეორიტები, ქვები ვარდება. მაგალითად, 823 წელს საქსონიაში (გერმანიის) ქვის წვიმა მოვიდა, რომელმაც ძალიან გაანადგურა ხალხი. ასეთივე ქვის წვიმა მოვიდა ნარნში (იტალია) 921 წელს. ხალხი თავზარდაცემული იყო. 1164 წელსაც ჩამოვარდა მესენაში უზარმაზარი ქვა ციდან, მაგრამ მე-18 საუკუნის სწავლულებს ყოველივე ეს ზღაპარი ეგონათ. 1790 წელს ულიაკში (საფრანგეთი) ჩამოვარდა დიდი მეტეორიტი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეადგინა ვრცელი ოქმი ამის შესახებ, 300 მოწმემ მოაწერა ხელი და გადაუგზავნეს პარიზის მეცნიერების აკადემიას, რომელსაც სასაცილოდ არ ეყო.

გერმანელმა ფიზიკოსმა ხლადნიმ შეისწავლა მეტეორიტების საკითხი და დარწმუნდა, რომ ქვების ჩამოვარდნა ციდან შესაძლოა. ამის შესახებ დაწერა მან 1794 წელს, მაგრამ მას დაცინვა დაუწყეს. სწორედ ამ დროს რამდენჯერმე კიდევ ჩამოვარდა მეტეორიტები, და პარი-

ზის მეცნიერების აკადემიამ გადასწყვიტა გაეგზავნა ერთი სწავლული ამ საქმის გამოსარკვევად. მართლაც, ფიზიკოსი ბიო დარწმუნდა ყველაფერში. საქმე ასე იყო: ნაშუადღევს 2 საათზე ცაზე გამოჩნდა მოელვარე ბურთი და აგრეთვე პატარა მოშავო ღრუბელი, საიდანაც მოისმოდა ზარბაზნებისა და თოფის სროლის ხმის მსგავსი ხმები. შემდეგ წამოვიდა ქვის წვიმა. ქვამ დაფარა მიწა 2 1/2 მილის სიგრძეზე და 1/4 მილის სიგანეზე. შემდეგ რომ დაითვალეს, 3000-მდე ქვა იყო ციდან ჩამოვარდნილი; ზოგი მათგანი 7 კილოს იწონიდა. ეს მოხდა ინგლისში.

ალენიშნოთ კიდევ რამდენიმე საინტერესო შემთხვევა.


1847 წელს ზემო ავსტრიაში ჩამოვარდა 2 ქვა, 36 კილოგრამი; შვეიცარიაში 1808 წელს მოვიდა ქვის წვიმა; ინდოეთში 1861 წელს ჩამოვარდა ქვა, რომლის სიმაღლე 1/2 მეტრს უდრიდა. 1866 წელს უნგრეთში მოვიდა ქვის წვიმა, რომელმაც მიიპყრო ყველას ყურადღება. 1000 ქვაზე მეტი ჩამოვარდა. ეს ქვები 240 კილოგრამს იწონიდა. ასეთივე წვიმა იყო რამდენიმე წლით ადრე (1860 წ.) ამერიკაში, ოხაიოს შტატში. იქ ზოგი ქვა 22 კილოს იწონიდა.



ჰუმბოლტი და ბონპლანი 1799 წელს მისჩერებიან მეტეორების წვიმას სამხრეთ ამერიკაში.

პოლონეთსა და გერმანეთში ჩამოვიდა ქვები ციდან. იტალიაში 1883 წლის 16 თებერვალს გაისმა ქექა-ქუხილი, და ღრუბლებიდან ჩამოვარდა ქვა, წონით 176 კილო. 1896 წლის 10 თებერვალს მადრიდში ჩამოვარდა უზარმაზარი მეტეორი. აი რას ამბობს ამის შესახებ ერთი მნახველი: „დღეს დილით, დაახლოვებით ათის ნახევარზე, როდესაც მზე კაშკაშებდა, ცაზე უცბად გამოჩნდა მეტად მოელვარე მტრედისფერი სინათლე, რომელმაც მზესაც კი დაუბნელა ელვარება, ხოლო ბევრი ადამიანი, რომლებიც ამ დროს ქუჩაში იყვნენ, დროებით დაბრმავდა. 1 1/2 წუთის შემდეგ გაისმა საშინელი ხმა, თითქოს რამდენიმე ათასი ზარბაზანი გაისროლესო, შემდეგ

უფრო და უფრო შესუსტდა ეს ხმა. მიწა ზანზარებდა. ბევრი შენობა დასკდა. ავეჯი წაიქცა, მილიონობით დამტვრეა ფანჯრის მინები. წარმოუდგენელმა შიშმა მოიცვა მადრიდის მცხოვრებნი. პირველ წუთებში ყოველი მხრიდან ისმოდა ტირილი და ყვირილი. ზოგიერთები ყვიროდნენ: „მიწისძვრა, მიწისძვრა“. მადრიდის ობსერვატორიის ცნობებიც ასეთივეა. ღრუბელი, საიდანაც წამოვიდა მეტეორი, ოთხი საათის შემდეგ მიიშალა. ზოგიერთებს მოხვდა ამ მეტეორიტის ნატეხები. რამდენად ცხელი იყო ეს მასა, იქიდან ჩანს, რომ გაზეთის ფურცელი, რომელიც გახია მეტეორიტის ნამსხვრევმა (წონით 12 ლოტი), სულ შეტრუსული იყო.



მზე. მას გარს უფლის დედამიწა. მეტეორული რგოლიც (წაგრძელებული) მზის გარშემო მოძრაობს.

ბევრია ისეთი მეტეორი, რომლების ჩამოვარდნა არავის არ დაუნახავს, მაგრამ უდავოდ კი ვიცით, რომ ჩამოვარდნილია. ნორდენშელდმა ისლანდიაში იპოვნა მეტეორი, რომელიც 25.000 კილოგრამს იწონის, პირიმ 1894 წელს ნახა და წამოიღო გრენლანდიიდან მეტეორი, წონით 75000 კილო. მეტეორების ძვირფასი კოლექცია აქვს ვენის მუზეუმს.

საბჭოთა კავშირშიც არა ერთხელ ჩამოვარდნილა მეტეორი. ლენინგრადის მუზეუმშია შენახული მეტეორიტი, რომელიც 672 კილოს იწონის (კრასნოიარსკში არის ნაპოვნი); ამაზე ბევრად დიდია (1000 კილომდე) ტომსკის გუბ. ნაპოვნი მეტეორი.

1892 წელს კასპიის ზღვაში, აპშერონის მახლობლად, ჩავარდა უზარმაზარი მეტეორი, რომელიც 80.000 კილომდე იწონიდა; მისი სიგრძე 14 მეტრს უდრიდა.

ხანდახან ლამე ვხედავთ, რომ ცაზე ვარსკვლავი მოწყდება, ხან კი ძალიან ბევრი ასეთი „ვარსკვლავი“ წყდება, გაისრიალებს ცაზე და გაქრება, ხან კი მეტეორიც გაანათებს, თითქოს გათენდაო, შემდეგ დაიმსხვრევა, მოისმის თოფების სროლის ხმა, და მეტეორი საღმე დაეცემა.

რასაკვირველია, ის, რასაც ვხედავთ, ვარსკვლავი სრულიად არ არის, ეს მხოლოდ უსწავლელ ხალხს ჰგონია ასე. ეს არის რკინისა და ქვის ნატეხები. ეს ნატეხები ისე ბნელია და ცივი, როგორც ქვები, და დასრიალობს სივრცეში, მაგრამ რადგან ჰაერი მათ წინააღმდეგობას უწევს, მასთან ხახუნისაგან თანდათან ცხელდება და გაეარვარდება. შიგნით მათ აქვთ გაზები, რომელნიც აფეთქდებიან, და მეტეორიტი იმსხვრევა. ეს აფეთქება ხდება მიწის ზედაპირიდან 60, 50 და 30 კილომეტრის მანძილზე, რაც ამტკიცებს, რომ ჰაერი ამ სიმაღლეზეც არის, წინათ კი ეგონათ 20 კილომეტრის სიმაღლეზეა მხოლოდ ჰაერიო.

ხანდახან მიწაზე ცვივა ფერფლიც. მაგ. ციმბირში ერთხელ ჩამოცვივდა მოწითალო ფერის რკინის ქანგის აუარებელი მასა.

„მოწყვეტილ ვარსკვლავთა“ რიცხვი წარმოუდგენელია, ყოველდღე ატმოსფერის ფარგლებში ხვდება 6 8 მილიონი ასეთი „ვარსკვლავი“. გაცილებით მეტია „მოწყვეტილი ვარსკვლავი“ 8-12 აგვისტოს, 12-15 ნოემბერს, 20-30 აპრილს (ღამით). 1799 წლის 12 ნოემბერს სამხრეთ ამერიკაში ჰუმბოლტი და ბონპლანი მონიბლულნი მისჩერებოდნენ მოწყვეტილ ვარსკვლავებს, რომელნიც ათასობით დასრიალებდნენ ცამე. ეს გამეორდა აგრეთვე 1833 წლის 13 ნოემბერს. 1866 წლის 13 ნოემბერს ერთმა მაყურებელმა 2 საათის განმავლობაში 9000 მეტეორი დაითვალა ცაზე. ამ მეტეორებს ვარკვეული გზა აქვთ და ამიტომ განსაზღვრულ დროს ხვდებიან ერთმანეთს დედამიწა და ისინი. ახლა უდავოდ ვიცით, რომ მოწყვეტილი ვარსკვლავები კომეტების ნაწილია. კომეტა იმსხვრევა მრავალ მოწყვეტილ ვარსკვლავად. კომეტა რომ დაიშლება, გაჩნდება ე. წ. მეტეორული რგოლი (იხ. სურათი), რომელიც მოძრაობს მზის გარშემო იმავე გზით, როგორც კომეტა მოძრაობდა. როდესაც დედამიწა შეხვდება ამ რგოლს, მაშინ ბევრი ვარსკვლავი „წყდება“ ცაზე.

მუზეუმებში რომ ენახულობთ მეტეორებს, „ცის ქვებს“, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ქვა მრავალი ათასი წლის განმავლობაში იყო ნაწილი კომეტის, რომელიც შიშის ზარს სცემდა ხალხს, მრავალი ათასი წლის განმავლობაში დაფრინავდა ის უსაზღვრო სივრცეში და შემდეგ აგრეთვე ათასი წლების განმავლობაში ჩამორჩა ის თავის ამხანაგებს კომეტის კუდში, ბოლოს კი ესტუმრა მიწას, გახურდა, გაანათა, მერე კი ჩავარდა იმ მნათობის—მიწის—ყვავილებსა და მცენარეებში, რომელსაც აშინებდა ათასი წლების განმავლობაში, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი საშინელი „კუდიანი ვარსკვლავისა“. რამდენი გზა გაუვლია ამ მეტეორს, სად არ ყოფილა ეს ჩვენი სტუმარი!


რას უდრის ადამიანის წლების სიგრძე.

როდესაც განკვეთავდნენ ცხედარს, ექიმები ხედავდნენ, რომ წლების სიგრძე 10 მეტრს უდრიდა. დიდი ხნის განმავლობაში ეგონათ, ცოცხალი ადამიანის წლების სიგრძეც ასეთივეაო. მაგრამ ორმა მეცნიერმა დაამტკიცა, რომ ცოცხალი ადამიანის წლები მხოლოდ 2 1/2 მეტრია, ხოლო როდესაც ადამიანი კვდება, მათ თანდათანობით ემატება სიგრძე და ბოლოს დაახლოებით ოთხჯერ უფრო გრძელი ხდება.

როგორ გაიგეს ეს? ამასწინათ ჰოლანდიელმა მეცნიერებმა რეისმა და შემბრმა ასეთი ცდა ჩაატარეს: მათ 3,5 სმ. სიმსხო რეზინის მილი ჩაუდეს პირში რამდენიმე ადამიანს და გადააყლაპეს. ეს მილი გაუღენთილი იყო ისეთი ქიმიური ნივთიერებით, რომელიც რენტგენის სხივებით გაშუქების დროს შავად ჩანს. ეს რეზინა თანდათან ჩადიოდა წლებში და ზოგიერთებს რამდენიმე კვირაც კი ჰქონდათ შივ, სანამ არ გამოჰყოფდა თავს პირდაპირი წელიდან. მაშინ რენტგენის სხივებით გადაიღეს სურათი და გამოარკვიეს ცოცხალი ადამიანის წლების სიგრძე, რამაც ნათელჰყო, თუ რამდენად ვცდებოდით, როდესაც ვფიქრობდით, რომ ცოცხალი და მკვდარი ორგანოების ზომა ერთიდაიგივეა.

ასეთი ცდაც ჩაატარეს: რენტგენით გამოიკვია, რომ ცოცხალი ძაღლის წლების სიგრძე 1, 5 მეტრს უდრიდა (იმასაც რეზინის მილი ჩაუდეს წლებში პირიდან), მერე ეს ძაღლი მოჰკლეს და 10 წუთის შემდეგ წლები დაგრძელდა—1,85 მეტრი გახდა, 20 წუთის შემდეგ—2,9 მეტრს უდრიდა, 4 საათის შემდეგ—3,52 მეტრს, 15 საათის შემდეგ კი—3,82 მეტრს, ასევე ემართება ადამიანსაც.

საბავშვო კინო-ფილმის შესახებ



ამხ. მდივანი მართალია, როცა ამბობს, რომ ჩვენ-ში ნაკლები ყურადღება ექცევა საბავშვო კინო-ფილმს; მაგრამ მდივანი არ აღნიშნავს იმას, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა საბავშვო ფილმს. ბურჟუაზია ცდილობს ისე აღზარდოს ბავში, რომ მას იგი ყველაფერში გამოადგეს. ხშირად ბურჟუაზია ისეთ „გასართობ“ სურათებს ამზადებს, როგორცაა, „ჩანგ“. ბურჟუაზია აჩვენებს მხეცებს, სპილოებს და სხვა ცხოველებს, მაგრამ არასდროს არ დაუშვებს ისეთ კინო-სურათს, სადაც თანამედროვე კლასიური ბრძოლაა ნაჩვენები, რადგანაც ეს მისთვის ხელსაყრელი არ არის, იმიტომ რომ ბურჟუაზია კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვას ცდილობს.

ამხ. მდივანი აღნიშნავს საბავშვო კინო-ფილმის განსაკუთრებულ სისუსტეს ჩვენში, მაგრამ არ არკვევს, თუ რაა ამის მიზეზი. ამის მიზეზი ისაა, რომ ის სცენარისტები, რომლებიც მუშაობენ სახკინმრეწვ-ში, უკეთეს შემთხვევაში ეგრეთწოდებული ვიწრო „სპეცები“ არიან, სცენარისტ დასაწერად კი საბჭოთა ცხოვრების ცოდნაა საჭირო, განსაკუთრებით კი ბავშვთა კომუნისტური (პიონერული) მოძრაობის, რაც ჩვენს სცენარისტებს არ გააჩნიათ.

საბავშვო ფილმმა შემდეგი მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს: მოცემული უნდა იქნეს საბჭოთა ბავშვის

ცხოვრება, არ უნდა გამოვიდეს ბავში ავტომატი, სურათი არ უნდა იყოს გრძელი და მოსაწყენი და მასში უნდა ჩანდეს კლასიური ხაზი, ფონი კი ყოველთვის საბავშვოთა კომუნისტური მოძრაობა უნდა იყოს.

კინო, როგორც ვიცით, ხელოვნების დარგებს შორის ყველაზე ინტერნაციონალურია. რაში დაგვებმარება მისი ინტერნაციონალურობა? აი, მაგალითად, ჩვენ ნაკლებად ვიცით, თუ როგორ მუშაობას აწარმოებენ საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის და სხ. ბურჟ. სახელმწიფოების პიონერები, არც მათ იციან თითქმის ჩვენს შესახებ.

მართალია, ჩვენ საზღვარგარეული მეგობრებისგან ბევრჯერ მოგვდის ძმური წერილები, მაგრამ, საუბედუროდ, მათი ენა არ ვიცით. გვიხარია, რომ წერილი უცხოელი ამხანაგების მიერ არის გამოგზავნილი, მაგრამ კითხვა გვიძნელდება, ეს კი ნაწილობრივ აბრკოლებს ჩვენი ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცებას; ჩვენ რომ გვექნოდეს საბავშვო ფილმი, უცხოელი პიონერები ადვილად გაეცნობოდნენ ჩვენს მუშაობას და ჩვენ — უცხოეთის ცხოვრებას.

დროა ეს მოვაგვაროთ, მით უმეტეს, რომ ხშირად სახკინმრეწვი აუარებელ ფულს ხარჯავს არასაჭირო ფილმებზე.

პიონერი გოგი ლომიძე

საბავშვო კინო-ფილმის შესახებ

ჟურნ. „პიონერი“-ს № 8-ში მოთავსებული იყო ჟ. მდივნის წერილი „საბავშვო-პიონერულ კინო-ფილმის შესახებ“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მართლაც და დროული საკითხია. ამერიკული სურათები თავისი შინაარსით არაფერს არ წარმოადგენს საბჭოთა მაცურებელთათვის, განსაკუთრებით კი ბავშვთათვის. საჭიროა პირველ რიგში დავაყენოთ საბავშვო საბჭოთა ფილმის საკითხი. ამერიკულ თუ სხვა ბურჟუაზიულ ფილმებში თითქმის ვერ ვხვდებით ისეთ მასალას, რომელიც დააკმაყოფილებს საბჭოთა ბავშვებს. პირიქით, უნდა ითქვას, რომ ასეთი სურათები აღვივებს ბავშვებში ცუდ ზნე-ჩვეულებებს და მუშათა კლასის ზიზღს. ამიტომ საჭიროა საბჭოთა კინომ უჩვენოს პროლეტარულ ბავშვებს არა გამხრწნელი შინაარსის სურათები, არამედ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობა: ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, კოლმეურნეობების ქსელის გაფართოვება და საერთოდ ახალი ცხოვრება, ოქტომბრის რევოლუციის ისტორია, უცხო ქვეყნის მუშა-

თა კლასის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ და სხვა. მაგრამ ხშირად ზოგიერთი ფილმები შინაარსით რთულია, რომელსაც ბავშვის გონება ასე ადვილად ვერ მისწვდება.

პიონერ-ორგანიზაციის წინაშე დგას უდიდესი ამოცანა; უკვე თავს ვანებებთ ძველი სისტემით მუშაობას და გადავდივართ მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე. შეიძლება თუ არა ამის ეკრანზე გადაღება, თუნდაც პიონერთა მონაწილეობისა სოფლად არტელებსა და კომუნებში? შეიძლება და ძალზე სასარგებლოც იქნება, ანდა არის მთელი რიგი თემები საბავშვო კინო ფილმის გადასაღებად, მაგრამ ამას კიდევ არ ექცევა სახკინმრეწვის მიერ ჯეროვანი ყურადღება.

საჭიროა ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს ყურადღება მიაქციოს საქართველოს ნ. პ. ცენტრალურმა ბიურომ.

წითელი აკი





„მსუბუქი კავალერიის“ მოძრაობა კომკავშირულ ჯგუფებთან ერთად ვითარდება პიონერთა ორგანიზაციაშიც. საქ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ნოზი პიონერთა ცენტრალურ ბიუროს უკანასკნელმა რესპუბლიკანურმა თათბირმა ჩამოაყალიბა ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის „მსუბუქი კავალერიის“ მუშაობის და შექმნის აუცილებლობა, მაგრამ მიღებული შედეგები (მასალები) გვიჩვენებს, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ ვერ შეითვისეს ჩვენმა ორგანიზაციებმა, მათ შორის არსებობს ერთგვარი უთანხმოება „მსუბუქი კავალერიის“ პიონერთა ჯგუფების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების საკითხში. გარდა ამისა, არის ადგილებზე ისეთი ტენდენცია, რომ თითქოს პიონერთა „მსუბუქი კავალერიის“ მუშაობა არ შეიძლება იყოს სერიოზული და სხვ. რა თქმა უნდა, ამას ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფების მუშაობის გამოცდილებები (რუსეთის და ტფილისის ორგანიზ.) აქარწყლებს ამ აზრს. მართალია, კ. კ. „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფებს მრავალი საქმიანობის ჩატარება შეუძლია, მაგრამ ისინი მთლიანად მაინც ვერ გასწვდებიან იმ უამრავ აღზრდისა და საზოგადოებრივი ორგანიზების თავდასხმას, რომელშიაც პიონერთა ასაკის ბავშვები არიან ჩაბმულნი.

საქართველოს ნოზი პიონერთა ცენტრალური ბიურო, გამოდის რა ამ მოსაზრებებიდან, წინადადებას იძლევა ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციების „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფების მუშაობაში იხელმძღვანელონ ქვემოთაღნიშნული ღირებულებებით.

ბავშთა კომ. ორგ. „მსუბუქი კავალერიის“ ამოცანები.

1. „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფები განსაკუთრებული ნებაყოფლობის საფუძვლებზე იქმნება პიონერთა რაზმებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, საბინაო კოოპერაციათა, ქარხანაში, დაწესებულებაში, სოფლად და სხვ. (სასურველია, სადაც მოხერხდება, კოლ. მეურნეობებთან).

2. ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის „მსუბუქი კავალერიის“ უახლოეს ამოცანებს წარმოადგენს:

ბავშთა მასების მოთხოვნილებათა აღრიცხვა (თავისი რაიონის ბავშთა, პიონერთა რაზმებისა და სკოლათა საჭიროებანი).

ნაკლოვანებათა გამოჩენა სასკოლო ცხოვრებაში, საბავშვო სახლში, რაზმებში და სხვ.

შინამრეწველთა მოჯამაგირე-შეგირდების უფლებებისა და შრომის დაცვისათვის თვალყურის დევნება (თავდასხმების საშუალებით).

თავდასხმები სასკოლო თვითმართველობაზე, კოოპერატივებზე, კომისიებზე და მათ მუშაობაში დეფექტების გამოძევანება, მათი შემდგომი გამოსწორების მიზნით.

ბრძოლა ორწლიანობასთან სკოლებში, პროლეტართა და ლაბიზ მოსწავლეთა შენარჩუნებისათვის თვალყურის დევნება.

ბრძოლა სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. უპატრონო ბავშთა აღმოჩენა და მათი ჩაბმა საბავშვო ბაღებში.

შემოწმება იმისა, თუ რამდენად ასრულებენ რაზმები ახალგაზრდა პიონერთა ბიუროს დავალებებს, როგორ ხარჯავენ დროს ამ საქმის შესრულებაზე და სხვა.

წერა-კითხვის უკოდინარ ბავშთა აღმოჩენა, სკოლებში დაუსწრებლობის მიზეზების გამორკვევა.

ბრძოლა ლოთობასთან, ხულიგნობასთან, გინებასთან. შემოწმება იმისა, თუ რა მონაწილეობას იღებდენ რაზმები ბიუროს მიერ ჩატარებულ კამპანიებში (მაგ.

პიონერთა მე-36 რაზმის მონაწილეობა მოსავლიანობისათვის ლაშქრობაში, შავი ლითონის, ქაღალდის მაკულატურის შეგროვებაში და სხვ.)

თავდასხმა პიონერთა სახლებზე (რა მუშაობას ეწევიან პიონერები ოჯახში, მათი ყოფა-ცხოვრება, ჰიგიენის დაცვა და სხვ.), გამორკვევა იმისა, თუ როგორ ეხმარებიან პიონერები სახლში ძძობლებს, პიონერთა „ატრიბუტების“ (ყელსახვევების ტარება და სხვ.) შესრულებისათვის თვალყურის დევნება, კომკავშირის უჯრედებისა და სხვა ორგანიზაციების წარმოადგენელთა მუშაობის შემოწმება;

როგორ მუშაობს ხელმძღვანელი;

ერთი რაზმის მუშაობაში მიღებული გამოცდილების გადატანა მეორეში.

ბრძოლა ბავშვების ცემით დასჯის წინააღმდეგ.

პიონერთა რაიონულ და საოლქო ბიუროებზე თავდასხმა (როგორ ატარებს ბიურო თავის მუშაობას, როგორ ტარდება მუშაობის ახალი სისტემა პიონერთა რაზმებში) და სხვ.

ზემოაღნიშნულ საკითხებსა და ამოცანებს გარდა, ყოველი ორგანიზაცია, ყოველი რაიონი მოვალეა ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებით გადასაწყვეტად წამოაყენოს სხვა საკითხებიც.

3. პიონერთა ჯგუფები კისრულობენ აგრეთვე

„მსუბუქი კავალერიის“ ცალკ-ცალკე კონკრეტული საკითხების გადაწყვეტასაც. მაგ. მასწავლებელთა მოპყრობა მოწაფეებისადმი, ჯგუფები უთვალყურებენ კულაკისა და ნეპმანების მოქმედებას, თუ როგორ უვლიან ისინი დაქირავებულ ბავშს (მოჯამაგირე და შინამოსამახურე).

4. „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, პიონერთა ბიურო ამ მუშაობის ორგანიზატორად გამოჰყოფს ბიუროს ერთ წევრს. ორგანიზატორი მჭიდროდ უკავშირდება კომკავშირის კომიტეტს (მისი საშუალებით კი მუშათა და გლეხთა ინსპექციას), საიდანაც ის ლეზულობს დავალებას პიონერთა „მსუბუქი კავალერიისათვის“.

5. „მსუბუქი კავალერიის“ ყოველი ჯგუფი (7 კაცის შემადგენლობით) გამოჰყოფს ერთ წინამძღოლს, რომელიც უკავშირდება პიონერთა ბიუროს ორგანიზატორს, ლეზულობს დავალებებს, აბარებს მასალებს.

6. „კავალერიის“ წევრებს არავითარი მოწმობები და მანდატები არ ეძლევათ. ისინი თავიანთ მუშაობას აწარმოებენ მოულოდნელი თავდასხმის წესით, არაოფიციალურად. ნაკლოვანებათა აღმოჩენის შემდეგ „მსუბუქი კავალერია“ უნდა შეეცადოს მის გამოსწორებას.

7. თავდასხმის შედეგები უნდა გადაეცეს სათანადო ბეჭდვითს ორგანოებს.

8. „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფის ხელმძღვანელს აქვს სააღრიცხვო ფურცელი, დაახლოვებით ასეთი შინაარსის:

| დავალება | ვის ევალება | შესრულების ვადა | როდის იქნა შესრულებული |
|----------|-------------|-----------------|------------------------|
| | | | |

9. პიონერთა „მსუბუქი კავალერიის“ მთელი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს კომკავშირის კომიტეტებისა და პიონერთა ბიუროების ხელმძღვანელობით. ამ ხელმძღვანელობას ცოცხალი და სისტემატიური ხასიათი უნდა იქნეს.